სოც. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 33 (19475) ◆ შაბათი, 8 თებერვალი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება სკკპ XXVII ყრილობისათვის მზადების ღონისძიებათა განხორციელებასა და ამ მიმართულებით ცენტრალური და ადგილობრივი პარტიული ორგანოების მუშაობას.

განიხილეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის შარშანდელი მუშაობის შედეგები. აღინიშნა, რომ, ხელმძღვანელობდა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მითითებებით, პარტიული კონტროლის კომიტეტმა გააძლიერა კონტროლი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, დისციპლინის განმტკიცებისა და ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის გადიდებისადმი, კომუნისტების მიერ სკკპ წესდების მოთხოვნათა დაცვისადმი, პარტიული კონტროლის კომიტეტის ყურადღება ცენტრში იყო ისეთი საკითხები, როგორიც არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის გამიზნული პარტიის სტრატეგიული კურსის რეალიზაცია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ფართო გამოყენება, საფურსათო და ენერგეტიკული პროგრამების შესრულება, სოციალური განვითარება, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

გაძლიერდა შემოწმების შედეგიანობა. მოიწონა რა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის საქმიანობა, პოლიტბიურომ დასახა ამოცანა კვლავაც დაიხვეწოს მისი მუშაობა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნა, რომ საჭიროა კიდევ უფრო [illegible] ორგანოების კონტროლი ვრცელდებოდეს ყველა თანამდებობის პირზე, ყველა კომუნისტზე.

პოლიტბიუროს სხდომაზე მოისმინეს ამხანაგ ვ. ვ. კუზნეცოვის ინფორმაცია ინდოეთში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მოგზაურობის შესახებ. გამოითქვა დიდი კმაყოფილება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრული ურთიერთობის მაღალ დონის გამო, ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხარეები ესწრაფვიან მის შემდგომ გაღრმავება-განვითარებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი და მიიღო. მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი

გაზეთ „ლუმანიტეს“ კითხვებზე

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „ლუმანიტემ“ თხოვნით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს პასუხი გაეცა მთელ რიგ კითხვებზე.

მიმდინარე წლის 4 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვმა მიიღო საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, „ლუმანიტეს“ პოლიტიკური დირექტორი რ. ლერუა, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, „ლუმანიტეს“ მუდმივი კორესპონდენტი მოსკოვში ჟ. სტრეიფი და გაზეთის საერთაშორისო რედაქციის გამგე ჟ. ფორი.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მ. ს. გორბაჩოვის პასუხს გაზეთ „ლუმანიტეს“ კითხვებზე.

კითხვა: მიხეილ სერგის ძევ, მაღლობელი ვართ, რომ დაგვთანხმდით გეპასუხათ გაზეთ „ლუმანიტეს“ კითხვებზე. თქვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბრძანდებით. ეს განსაკუთრებულ ავტორიტეტს ანიჭებს თქვენს პასუხს საბჭოთა კავშირის ცხოვრების შესახებ კითხვებზე, რომლებსაც სვამენ ფრანგები, თქვენს ქვეყანაზე მტრული გამოხდომების მუდმივ ზეგავლენას რომ განიცდიან. მაშ ასე, პირველი კითხვა. ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სსრ კავშირს დაუდგა თავისი განვითარების ისეთივე პასუხსაგები ეტაპი, როგორიც იყო ის, რომელსაც სათავე დაუდო ოქტომბრის რევოლუციამ. ნიშნავს თუ არა ეს, რომ საქმე ეხება ახალ რევოლუციას.

პასუხი: რა თქმა უნდა, არა. საკითხის ასე დასმა, ვფიქრობ, სწორი არ იქნება. უფრო სწორია, ჩემი აზრით, ვთქვათ, რომ დღეს, 80-ან წლებში, ჩვენ ვისახავთ ამოცანას, კიდევ უფრო დაჯაჭაროთ ბოლშევიკური პარტიის მიერ თითქმის 70 წლის წინათ დაწყებული საქმე.

ოქტომბრის რევოლუცია გარდამტები მოვლენაა ჩვენი სახელმწიფოს ათასწლოვან ისტორიაში, ხოლო მთელი კაცობრიობის განვითარებისათვის თავისი მნიშვნელობითა და შედეგებით მას ბადალი არა აქვს წარსულში. მაგრამ ცოტამ მოახდინო რევოლუცია — იგი უნდა დაიცვა კიდევ ხერხი უნდა შეასხა მშრომელი ადამიანის წარმოდგენას თანასწორობისა და სამართლიანობის შესახებ, მის სოციალურ და ზნეობრივ იდეალებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა ააშენო ისეთი საზოგადოება, რომელსაც შესწევს უნარი უზრუნველყოს ადამიანის ღირსეული ცხოვრება.

ყოველივე ამან ჩვენი ხალხისაგან, პარტიისაგან მოითხოვა უდიდესი მუშაობა, ნამდვილი გმირობა, ზოგჯერ კი მსხვერპლიც. სამოქალაქო ომი და ინტერვენტა გერმანიის წინააღმდეგ ომი, უდიდესი გარდაქმნები სოფლად, მძლავრი ინდუსტრიის შექმნა, მოსახლეობის უმრავლესობის უზრგუნველობის ლიკვიდაცია, საზოგადოების ძირეული სოციალური და კულტურული გარდაქმნა, პრინციპულად ახალი ერთაშორისი ურთიერთობის ჩამოყალიბება — აი ჩვენი, კაცმა რომ თქვას, ჯერ კიდევ ხანმოკლე ისტორიის ზოგიერთი ფურცელი.

ჩვენ ვამაყობთ ამ ისტორიით, და ეს სიამაყე უძევს საფუძვლად საბჭოთა პატრიოტიზმს. რომ არ გაგვეძლო, დავმარცხებულიყავთ თუნდაც ერთ-ერთ ზემოთქმოთვლილ საქმეში, ყველფერი, რისთვისაც მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, სათუო გახდებოდა. ამ საქმეთაგან თითოეულს კი თავისთავად შეიძლება სამართლიანად ეწოდოს ქვეშმარიტად რევოლუციური მიღწევა.

იგივე შეიძლება ითქვას ამოცანებზე, რომლებიც დღეს წყდება. ისინი ისევი რთული და ამავე დროს უაღრესად მნიშვნელოვანია. თუ თავს ვერ გავართმევთ მათს გადაწყვეტას, გავაუფასურებთ ყველაფერს, რასაც უდიდესი მეცადინეობით მივაღწიეთ წარსულში, და გავირთულებთ მომავალს. შესაძლოა, რომ ყველაზე ძნელი, ყველაზე საჭირო თითოეული საბჭოთა კომუნისტისათვის, მთელი პარტიისათვის ის იყოს, რომ ბოლომდე, სრულად გავიგოთ, ვიგრძნოთ ეპოქის მოწოდება, და ღირსეულად გუპასუხოთ მას.

ეს მოწოდება ორგვარია.

ერთი მხრივ, საბჭოთა საზოგადოებას დაუდგა თავისი ისტორიის ახალი ეტაპი. მისი არსი ის არის, რომ საწარმოო ძალების განვითარების მოთხოვნილებანი, ხალხის მოთხოვნილებანი, ადამიანის მოთხოვნილებანი დღის წესრიგში აყენებს წარმოებითი ურთიერთობის მეურნეობრიობის მეთოდების, პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ხერხების ფორმების, სტილის, ესე იგი პოლიტიკის უაღრესად სერიოზული გარდაქმნისა და სრულყოფის საკითხს. საქმე ეხება იმასაც, რომ საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტაში ჩაებას ხალხის სულ უფრო ფართო ფენები, მისი შემოქმედებითი ნიჭი და გამოცდილება მთლიანად მოხმარდეს გართულებული ამოცანების გადაწყვეტას, ესე იგი კიდევ უფრო განვავითაროთ, გავამდიდროთ ჩვენი სოციალისტური დემოკრატია.

ჩვენ უკვე სამაო ხანია ვგრძნობთ, რომ ყოველივე ეს აუცილებელია. არსი იმისა, რაც კეთდება ქვეყანაში და უწმინარეს ყოველისა პარტიაში, ახლა ის არის, რომ მტკიცედ დავაჩქაროთ საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარება და ამისათვის გამოვიყენოთ ყველა არსებული საშუალება. ეს, რაღა თქმა უნდა, რევოლუციური ამოცანაა.

მეორე მხრივ ჩვენი ეპოქის მოთხოვნა იქიდან გამომდინარეობს, რომ კაცობრიობის ცივილიზაციამ, სამწუხაროდ, თვითმოსპობის მეტად ეფექტიანი საშუალებები შექმნა. იმისათვის, რომ საშინელება დატრიალდეს, აუცილებელი როდია უარეცდენტო სისულელის ან დანაშაულის ჩადენა. საკმარისია ვიმოქმედოთ ისე, როგორც მოქმედებდნენ ათასწლეულების განმავლობაში. საერთაშორისო საქმეთა გადაწყვეტაში იარაღისა და სამხედრო ძალის იმედი ვიქონიოთ, შემთხვევა თუ მოგვეცემა, გამოვიყენოთ კიდეც იგი. სწორედ ამ ათასწლოვანი ტრადიციის დაუნდობლად დამსხვრევაა ახლა საჭირო, მასზე მთლიანად უხდა ვთქვათ უარი. სხვაგვარად კაცობრიობის გადარჩენის პრობლემა გადაუჭრელი შეიძლება აღმოჩნდეს. ბირთულ საუკუნეში არ შეიძლება ვიცხოვროთ — ყოველ შემთხვევაში დიდხანს ვიცხოვროთ — ქვის საუკუნის ფსიქოლოგიით, ჩვევებითა და ქცევის წესებით. განა ასეთი მკვეთრი გარდატეხა საერთაშორისო საქმეებში, საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზებსა და პრაქტიკაში ღრმად რევოლუციური ამოცანა არ არის? ეჭვიქრობ, რომ სწორედ ასეა. ჩვენ, როგორც ქვეყანა, რომელმაც პირველმა მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, უდიდეს პასუხისმგებლობად, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ამ ამოცანის გადაწყვეტას.

საერთოდ ჩვენს პრაქტიკული მოქმედების პროგრამას, რომელსაც განხილავს და მიიღებს სკკპ XXVII ყრილობა, ყველა თვალსაზრისით მივიჩნევთ ნამდვილად რევოლუციური ხასიათისა და მასშტაბის პროგრამად.

კითხვა: როგორია საბჭოთა ეკონომიკის განვითარების მომავალი ათი-თხუთმეტი წლის უმნიშვნელოვანესი პერსპექტივები? როგორ აისახება ეს ხალხის კეთილდღეობის მხრივ?

პასუხი: პერსპექტივები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად კარგად გავართმევთ თავს წამოჭრილ პრობლემებს, იმაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად კარგად და მარჯვედ ვიმუშავებთ. გულახდილად ვიტყვი — ეს იოლი პრობლემები არ არის. გვაქვს ობიექტური სიძნელეები (არახელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაცია, გამალებული შეიარაღება, რომელიც თავს მოგვახვევს, ყველაზე დიდი სიძნელეებია მათ შორის), გვაქვს ისეთებიც, რომლებიც წარმოიშვა ჩვენივე მაზეზით. და რაკი მათი გადაწყვეტა გაჭიანურდა, ისინი გამწვავდა.

ახლა უმოკლეს პერიოდში ძალზე ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რადიკალურად გავაუმჯობესოთ დაგეგმვა, მართვა და მატერიალური სტმულირება, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. და ამ ბაზაზე გავზარდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, თვისებრივი უკუგება, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. უახლოესი 15 წლის განმავლობაში ვაპირებთ გავაორკეცოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, არსებითად შევცვალოთ თვით ჩვენი მეურნეობის იერი, შრომის ხასიათი, გარდავქმნათ ადამიანთა ცხოვრების წესი.

თქვენ გვეკითხებით: როგორ აისახება ეს ხალხის კეთილდღეობის მხრივ?

გიპასუხებთ — ალბა რომ თქვას, ყოველივე ამას სწორედ ხალხის კეთილდღეობისათვის ვაკეთებთ. მხედველობაში მაქვს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მხარე, ესე იგი მოხმარება და საყოფაცხოვრებო მომსახურება, ბინები, სამედიცინო მომსახურება და განათლება, სოციალური უზრუნველყოფა. კულტურის სიკეთეთა მისაწვდომობა, გარემოს დაცვა, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა, დასვენება და მრავალი სხვა. არ დავშალავ, ბევრ ამ სფეროში საქმე ისე როდი გვაქვს, როგორც სასურველია. იმის გამოც, რომ ჩვენი ძნელი ისტორია დიდხანს საშუალებას არ გვაძლევდა სათანადო ყურადღებით მოვიდებოდით ცხოვრების ამ სფეროებს, და ჩვენი მიზეზითაც — ამა თუ იმ თანამდებობის პირის, მთელი უწყებებისა და ორგანიზაციების ჩამორჩენილობის, უუნარობის, ზოგჯერ კი უბრალოდ უპასუხისმგებლობის გამოც. თუ ჩვენს გაზეთებს კითხულობთ, გეცოდინებათ, რა მწვავედ ვაკრიტიკებთ ამისათვის ბევრ მუშაკს, მათ შორის საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებს. ახლა გადაჭრით შევუდექით მდგომარეობის გამოსწორებას. ეს, რა თქმა უნდა, დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ამ საქმეში სერიოზულ ძვრებს მივაღწევთ. რა თქმა უნდა, ყველას გვინდა ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს.

ყველაზე სასწრაფო საქმეთა შორის არის კარგი ხარისხისა და რაც შეიძლება ფართო ასორტიმენტის საქონლით ბაზრის უხვად მომარაგება. სხვადასხვა საქონლით: ახლით და ტრადიციულთ, ძვირადღირებულით და იაფით, ახალგაზრდობისათვის და უფროსი თაობის ადამიანებისათვის, ერთი სიტყვით, ყველა გემოვნებისა და მოთხოვნილებისათვის, რასაკვირველია, გონივრულ ფარგლებში. ეს პრობლემა მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

კითხვა: კიდევ არის თუ არა რიგები?

პასუხი: არის. განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი საქონლისათვის, რომელზეც მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება.

ამასთან მინდა დავძინო, რომ ამ პრობლემის გადაჭრის ყველა გზა როდი გვაქვს ბახსენი. თუ თქვენთან, დასავლეთში, რომელიღაც სახეობის საქონელზე მოთხოვნა მიწოდებას აღემატება, საქონელი ძვირდება. ჩვენ ასე არ ვშვრებით ან თითქმის არ ვშვრებით, ყოველ შემთხვევაში, მასობრივი მოთხოვნის საქონელთან დაკავშირებით. ამას შედეგად მოსდევს დეფიციტი. ეს კი რიგს წარმოშობს.

ყოველივე ამას პრობლემის განსამარტავად ვამბობ და არა ნაკლოვანებათა გასამართლებლად. ნაკლოვანებანი — და ამას მტკიცედ მოვთხოვთ — კი არ უნდა გავამართლოთ, უნდა გამოვასწოროთ. სწორედ ამისათვის დავიწყეთ ახლა მეურნეობის, ყველა ეკონომიკური მექანიზმის სეროზული გარდაქმნა.

კითხვა: აქვთ თუ არა საბჭოთა მოქალაქეებს უფლება და საშუალება „წინააღმდეგობა გაუწიონ“ თავიანთი საწარმოების „პატრონთა“ მოქმედებას? და არა მარტო „წინააღმდეგობა გაუწიონ“, არამედ შეეცალონ კიდეც მათი გადაწყვეტილებანი?

პასუხი: თუ „პატრონებად“ დირექტორებს, ადმინისტრაციას გულისხმობთ, კერძო მფლობელები, ისევე როგორც კერძომესაკუთრული ურთიერთობა, ჩვენში არ არის. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე წლებში შეიქმნა მშრომელთა უფლებების დამცველი მთელი მექანიზმი: მკაცრი შრომის კანონმდებლობა, პროფკავშირების ფართო უფლებები, პარტიული და საბჭოთა კონტროლი. ბოლო წლებში მშრომელებს, შრომითი კოლექტივის უფლებები სერიოზულად გაფართოვდა. პრაქტიკულად ყველა დიდ გადაწყვეტილებას ვამზადებთ და ვიღებთ მუშაკთა მონაწილეობით და სათანადო განხილვის შემდეგ. ეს ეხება, მაგალითად, საწარმოთა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების პროექტებს.

განსაკუთრებით შეეხება პროფკავშირებს. ისინი კოლექტიურ ხელშეკრულებებს დებენ ადმინისტრაციასთან. კონტროლს უწევენ, თუ როგორ იცავენ შრომის კანონმდებლობას, და თუ მიიჩნევენ, რომ რაღაც ისე ვერ კეთდება, როგორც საჭიროა, მათ შორის მუშაკთა დათხოვნა, ხელფასის საკითხები, ბინების მიცემა და ა. შ. შესაძლებლობა აქვთ ძალზე ეფექტიანად, თქვენი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „გაუწიონ წინააღმდეგობა“. ისიც კი შეუძლიათ, რომ მოითხოვონ ამა თუ იმ ადმინისტრატორის დათხოვნა. დროდადრო ასეც ხდება.

მაგრამ არის საქმის მეორე მხარეც. არა მარტო ადმინისტრაცია და პროფკავშირი, არამედ მთელი შრომითი კოლექტივი გარკვეულ მოთხოვნებს უნდა უყენებდეს აგრეთვე მუშაკებს, მათ დისციპლინას, კეთილსინდისიერებას, მათ ქცევას წარმოებაში. ეს, ჩვეულებრივ, ხდება კიდეც; თანაც მუშათა სრული მხარდაჭერით. კოლექტივი თავად არის დაინტერესებული თითოეული თავისი წევრის კარგი მუშაობით. ამითაც გამოიხატება ყველა მუშაკის ინტერესი, ამაზეა დამოკიდებული მათი ხელფასი, შრომის პირობები, სოციალური სიკეთენი.

კითხვა: წარმოების მოდერნიზაციას გარდაუვალად ხომ არ მოჰყვება უმუშევრობა?

პასუხი: საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ყოველმხრივი დაკმაყოფილებისათვის გამიზნული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში ასეთი კაშრი არ არსებობს. თუნდაც ტექნოლოგიის რაღაც ძირეული სრულყოფის შედეგად ალარ იყოს საჭირო მთელი რიგი სპეციალისტები, ჩვენ შეგვიძლია და ვალდებული ვართ კიდევ არა ბარტო ბრეგვარიტოთ ეს, არამედ განვახორციელოთ კვალიფიკაციის შეცვლის ღონისძიებანი, და თუ საჭიროა, შევქმნათ ახალი წარმოებები. სწორედ ასეც ვიქცევით პრაქტიკაში. ამასთან, ვინაიდან საწარმოთა რეკონსტრუქციას, ჩვეულებრივ, თან სდევს მათი გაფართოება, ახალი სამუშაო ადგილების საკითხი იმავე საწარმოებში წყდება. მაგრამ, ჯერჯერობით ეს ჩვენთვის თითქმის აკადემიური საკითხია. უწინარეს ყოვლისა იმ მიზეზით, რომ ჩვენ მუშახელის სიჭარბეს კი არა, ნაკლებობას განვიცდით. ამავე დროს, გულახდილად გეტყვით, სხვა მიზეზიც არის. დღემდე ნელა ვახორციელებდით მოდერნიზაციას, მათ შორის იმ სფეროებშიც, სადაც იგი მომწიფდა. რაც უნდა იყოს, პარტია ითვალისწინებს მოდერნიზაციის სოციალურ ასპექტს, უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნია გაითვალისწინოს ეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებისას.

კითხვა: არის თუ არა საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტია სახელმწიფოს მმართველი „ამძრავი ღერძი“? რას გულისხმობთ დღეს თქვენს ქვეყანაში გამოთქმით „პოლიტიკის შექმნა“?

პასუხი: ჩვენს საზოგადოებაში კომუნისტური პარტია ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა. პარტიის ასეთი მდგომარეობა დამკვიდრებულია კონსტიტუციით. ამასთან საქმე ეხება პარტიას არა როგორც სიმბოლოს, არამედ როგორც რეალურ, ნიადაგ მოქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის თითქმის ოც მილიონ- ყველაზე აქტიურ წარმომადგენელს აერთიანებს: დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელიც ირჩევს თავის ხელმძღვანელ ორგანოებსა და თავის ხელმძღვანელებს და მკაცრად მოჰკითხავს მათ. ახლა ვცდილობთ განვამტკიცოთ პარტიის ცხოვრებისა და მუშაობის ეს დემოკრატიული საწყისები, გავზარდოთ ყველა პარტიული კოლექტივის აქტიურობა. ეს, როგორც მიგვაჩნია, დემოკრატიის გაფართოების, საწარმოო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმეების გადაწყვეტაში მილიონობით ადამიანის ჩაბმის ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტია. ვფიქრობ, რომ თანამედროვე პირობებში პარტიის მუშაობის საკითხები მომავალ ყრილობაზე ერთ-ერთ ცენტრალური ადგილს დაიკავებს.

პარტიის საქმეა ახალი საზოგადოების მშენებლობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, საკადრო პოლიტიკის განხორციელება, ხალხის იდეოლოგიური აღზრდა. ყველა დონის პარტიული კომიტეტი, მათ შორის ცენტრალური კომიტეტიც, მოქმედებენ როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოები. პარტია უაღრესად არის დაინტერესებული ჩვენი პოლიტიკური სისტემის ყველა რგოლის აქტიური მუშაობით. იგი მხარს უჭერს და დახმარებას უწევს საბჭოებს. პროფკავშირებს, კომკავშირს, სხვა მასობრივ ორგანიზაციებს. იღვწის, რომ თითოეული მათგანი სრულად ახორციელებდეს თავის ფუნქციებს.

თქვენ მეკითხებით, რა აზრს შეიცავს გამოთქმა „პოლიტიკის შექმნა“. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთ გამოთქმას არ ვხმარობთ. ჩვენ ვამბობთ: შევიმუშაოთ პოლიტიკა, ჩამოვაყალიბოთ პოლიტიკა, განვახორციელოთ პოლიტიკა. ეს, მე ვფიქრობ, უფრო ზუსტად გამოხატავს საქმის არსს, ყოველ შემთხვევაში ჩვენი გაგებით.

ასე რომ, პოლიტიკის შემუშავება, ამისათვის კი პასუხს ავგებს, როგორც უკვე მოგახსენეთ, უწინარეს ყოვლისა პარტია, იწყება ობიექტური ვითარების, საზოგადოების ამა თუ იმ მოთხოვნილების, მასების განწყობილების შესწავლით (საზოგადოებრივ აზრს. სხვათა შორის, პარტია ყურადღებით სწავლობს და სრულად ითვალისწინებს). ამის საფუძველზე სათანადო განხილვის შემდეგ ყალიბდება პოლიტიკური გადაწყვეტილებანი. ეს, რა თქმა უნდა, მარტივი პროცესი როდია, იგი სხვადასხვაგვარად შემდინარეობს გადასაჭრელი პრობლემების ხასიათის შესაბამისად. ხშირად გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღვის ფართო, ზოგჯერ საყოველთაო-სახალხო დისკუსია, და, მაშასადამე, ამა თუ იმ საკითხზე თვალსაზრისთა შეპირისპირება და ბრძოლა. ასე ხდება ხუთწლიანი გეგმების პროგრამების განხილვასთან დაკავშირებით. ასე იყო კონსტიტუციასთან, შრომისა და სახიანო კანონმდებლობებთან, განათლების რეფორმასთან, ხოლო თუ შევეხებით ყველაზე უკანასკნელ პერიოდს, — ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კანონთან დაკავშირებით.

ამასთან მთელ პოლიტიკურ პროცესში მთავარია მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება. უამისოდ არ არსებობს პოლიტიკა. და თუ თქვენ თვალს ადევნებდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ ქვეყანაში გაშლილ დისკუსიას, შეუძლებელია ყურადღება არ მიგექცია ამისათვის, რომ ჩვენ სიტყვისა და საქმის ერთიანობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

იმისათვის, რომ საქმესა და სიტყვას შორის სხვაობა არ იყოს, გადაჭრით ვიბრძვით. ვიბრძვით კრიტიკის იარაღით. ვიბრძვით საჯაროობის იარაღითაც. დისციპლინის იარაღით.

კითხვა: ხშირად გვსმენია, საბჭოთა ახალგაზრდობას პოლიტიკა არ აინტერესებს, სოციალურად ინერტულია. სწორია თუ არა ეს?

პასუხი: დასავლეთში ამას ამბობენ ჩვენი მოშურნენი. მაგრამ პირდაპირ გეტყვით — ისინი თავისთვის სასურველს სინამდვილედ ასაღებენ. არავითარი საფუძველი არა გვაქვს დავიჩიოლოთ ჩვენს ახალგაზრდობაზე. მას მთლიანად ახასიათებს დიდი მოქალაქეობრიობა, საზოგადოების საქმეებით ღრმა დაინტერესება, საგარეო და საშინაო პოლიტიკისადმი დიდი ინტერესი. ახალგაზრდობა კარგად ავლენს თავს ქარხნებში, კოლმეურნეობებშიც, უმაღლეს სასწავლებლებშიც, არმიაშიც. და ხალისით, თავისი ნებით, არ მეშინია გითხრათ, ენთუზიაზმით საშუაოდ მიდის იქ, სადაც მეტი სიძნელეებია, — დიდ მშენებლობებზე ციმბირში, ქვეყნის ჩრდილოეთში, შორეულ აღმოსავლეთში. ამ მშენებლობებზე ახლა ნახევარი მილიონი ახალგაზრდა მოხალისე მუშაობს. ერთი სიტყვით, ვერაფრით ვერ დავეთანხმები იმას, თითქოს საბჭოთა ახალგაზრდობა ინერტული, პასიური იყოს. ჩვენს ცვლას მთლიანად ვენდობით პოლიტიკურად.

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: საუბრის წინ.

საკდეს-ხაქინფორმის ტელეფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ამერიკელ სენატორს ე. კენედის

6 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო ამერიკელი სენატორი ე. კენედი, რომელიც საბჭოთა კავშირში სსრკ უმაღლესი საბჭოს მოწვევით ჩამოვიდა.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ყენევის შეხვედრის შემდეგ, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, შეიქმნა წანამძღვრები ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის გამოსწორებისათვის და ამერიკას შეეთრთგული შტატების ბევრი ხელმძღვანელი პოლიტიკური მოღვაწე მხარს უჭერს მათს განხორციელებას. მაგრამ დღეს უკვე ცოტაა, მხოლოდ სიტყვიერად ვაღიაროთ, რომ გვესმის, რაოდენ საშიშია შექმნილი სიტუაცია.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ ახალი საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრას უნდა მოჰყვეს პრაქტიკული შეხვედრები, აღინიშნოს სერიოზული ძერებით მშვიდობის საქმისათვის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით — სხვა შემთხვევაში იგი აზრს დაკარგავდა. საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს ასე არ მოხდეს. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა 2000 წლამდე პერიოდში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციისა და კოსმოსური შეიარაღების სრული აკრძალვის ჩვენ მიერ წამოყენებული ახალი პროგრამა. იგი შეიცავს ყველა სფეროში, მათ შორის ბირთვული, ქიმიური და ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში მორიგებათა მიღწევის კონკრეტულ და რეალისტურ ფორმულებს, ამასთან თვალისწინებს საიმედოო და მკაცრ კონტროლს.

საბჭოთა პროგრამა საშუალებას მისცემდა კაცობრობას თავიდან აეცილებინა კოლოსალური საფრთხე, რომელიც შეექმნება საერთაშორისო გაერთიანებას, თუ ეგი თავს ჩაათრევინებს ახალ ავანტიურებში. 15 წლის მანძილზე, ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის ავტორები რომ ითვალისწინებენ ექსპერიმენტებისათვის, რომლებმაც „ბირთვული გაიარაღების“ რეცეპტები უნდა შეამოწმონ კოსმოსური შეიარაღების მეშვეობით, ჩვენ გთავაზობთ ბირთვული იარაღისგან დედამიწის განთავისუფლებას.

თუმცა შეერთებულ შტატებში — და არა მარტო იქ — კვლავ მოქმედებს ბირთვული პოლეგონები, საბჭოთა კავშირმა კიდევ 3 თვით გაახანგრძლივა ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი. ჩვენ, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, უაღრესად საჭიროდ მიგვაჩნია ბირთვული გამოცდების სრული შეწყვეტა.

საუბრის დროს საფუძვლიანად განიხილეს საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული წინადადება ევროპის ზონაში საშუალო სიშორის ყველა საბჭოთა და ამერიკული რაკეტის ლიკვიდაციის თაობაზე. პასუხი გასცა რა სენატორ კენედის კითხვებს, მ. ს. გორბაჩოვმა განმარტა, რომ ამ წინადადებას, ისევე როგორც ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტის შესახებ წინადადებას არ ახლავს არავითარი პირობები, გარდა იმისა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი აიღონ შესაბამისი ბირთვული იარაღის ზრდაზე და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ გადასცეს ასეთი იარაღი სხვა ქვეყნებს.

ბირთვული განიარაღების საბჭოთა პროგრამა იძლევა იმის უნიკალურ შანსს, რომ არა მარტო ძირეულად გაუმჯობესდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, არამედ რეალობად იქცეს ხალხთა ყველაზე სანუკვარი ოცნება მტკიცე შვიდობაზე. ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

სენატორმა ე. კენედიმ გამოთქვა თვალი რიგი მოსაზრებანი, რომლებმაც, მისი აზრით, შეიძლება ხელი შეუწყოს წინსვლას შეიარაღების შემცირების გზით. გაიმართა აზრთა გაზიარება სხვა საკითხებზეც, კერძოდ იმაზე, რომ საჭიროა უკეთესი ურთიერთგაგება, რომელსაც განაპირობებს ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის აღიარება. ე. კენედიმ მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, რომ მიეცა გულახდილი და შინაარსიანი საუბრის შესაძლებლობა.

(საკდესი).

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

შაბათობა გვიხმობს

● **თბილისი.** კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველო“ კოლექტივი ენერგიულად ემზადება სკკპ XXVII ყრილობის დღისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის ღირსეული მოწყობისათვის.

აქ შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელიც უხელმძღვანელებს კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობას. ამ დღეს, წინასწარი მონაცემებით, შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს 2010 კაცი, აქედან სამუშაო ადგილზე დასაქმდება 870. 15 თებერვალს ისინი იშრომებენ დიდხაყოფიერად და გამოუშვებენ 27.300 მანეთის პროდუქციას.

თითოეულ სამუშაო უბანზე, საამქროში, ცვლაში, ბრიგადაში განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან ამ დღისათვის, ასუფთავებენ მანქანა-დანადგარებს, მუშა-მოსამსახურეთა ერთი ნაწილი კეთილმოაწყობს ეზოს. ამ დღეს გამომუშავებული თანხიდან მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 1200 მანეთი.

(„კომუნისტის“ კორ.).

● **თბილისი.** (საკ. კორ.) ქვეყნის შრომითი კოლექტივების თანსწორობა

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი
გაზეთ „ლუმანიტეს“ კითხვებზე

(დასასრული)

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, თითქოს აქ არ გვქონდეს ჩვენი პრობლემები და საკითხები. ისინი გვაქვს, მაგალითად, სეროზულად შეგვაწუხა იმან, რომ ახალგაზრდობის ნაწილში გავრცელდა ალკოჰოლიზმი. სხვისი მომეედოობისა და მუშტრული განწყობილება, ცუდი გემოვნება, ვიწრო სულიერი ინტერესები, კულტურული მემკვიდრეობის არასაკმარისი ფლობა — ასეთი მოვლენებიც გვხვდება. მათ კარგად ვხედავთ და, ცხადია, უყურადღებოდ არ ვტოვებთ. აქ მოქმედების ფართო სარბიელი აქვს კომკავშირს. საერთოდ დიდი ხანია ცნობილია: მაგალითის ძალა ყველაზე მქევრმეტყველური ქადაგებაზე უკეთესი აღზრდის საშუალებაა. ვფიქრობ, რომ ყველაფერი, რაც ახლა ქვეყანასა და პარტიაში კეთდება, ახალგაზრდობის აღზრდის თვალსაზრისით მეტად სასარგებლო აღმოჩნდება.

კითხვა: ამბობენ, სსრ კავშირში ებრაელებს დევნიან, პოლიტიკური პატიმრები არიან და ცენზურაც არსებობსო. ახსენებენ ცალკე გვარებს, მაგალითად, სახაროვს, რას გვეტყოდით ამის შესახებ?

პასუხი: ჯერ შეეგებოთ საბჭოთა ებრაელებს. ეს საკითხი აღვირახსნილი ანტისაბჭოთა კამპანიის, სსრ კავშირის წინააღმდეგ ნამდვილი ფსიქოლოგიური ომის ნაწილი გახდა. ჩვენთან ანტისემიტიზმის, ისევე როგორც რასობრივი დისკრიმინაციის სხვა ფორმების, პროპაგანდა კანონით არის აკრძალული, დანაშაულად ითვლება. სსრ კავშირში შეუძლებელია, ის, რაც საკმაოდ ხშირად ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაცმა რომ თქვას, საფრანგეთშიც, როგორც დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც — ებრაელთა საფლავების შებღალვა, ნეონაცისტური ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ებრაელებისადმი სიძულვილს ქადაგებენ გაზეთებით და რადიოთი, ჩვენში ებრაელები ისევე თავისუფალი და თანასწორუფლებიანი არიან, როგორც ყოველი სხვა ეროვნების ადამიანები. ისინი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების აქტიური მონაწილენი არიან. ჩვენთან იდეშის ენაზე გამოდის წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, მოქმედებენ სინაგოგები. და, მე რომ მკითხონ, ანტიკომუნისტური და სიონისტური პროპაგანდის თავმომაბეზრებელი „აურადღება“ სსრ კავშირში მცხოვრებ ებრაელთა ბედისადმი სხვა არაფერია, თუ არა თვალთმაქცობა, რომელიც ისახავს შორს გამიზნულ პოლიტიკურ მიზნებს, ამასთან ისეთ მიზნებს, რომლებსაც საერთო არა აქვს რა ებრაული ეროვნების საბჭოთა მოქალაქეების ნამდვილ ინტერესებთან.

მიმაჩნია, რომ ციონიზებულ საზოგადოებაში საერთოდ არ უნდა იყოს არც ანტისემიტიზმი, არც სიონიზმი, ისევე როგორც საერთოდ ნაციონალიზმის, შოვინიზმის, რასიზმის ყოველგვარი გამოვლინება. გლობალური მასშტაბით ამ ბოროტებათა აღმოფხვრის საკითხი კი მეტად აქტუალურია. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასისტები სისხლიან რეპრესიებს მიმართავენ მოსახლეობის შავკანიანი უმრავლესობის წინააღმდეგ. დასავლეთ ევროპაში გახშირდა აფრიკელთა, ინდოელთა, თურქთა, აზიის სხვა ქვეყნების იმიგრანტთა რბევა და შევიწროება. ამერიკის შეერთებულ შტატებში რასიზმი უკანასკნელ წლებში აგრეთვე აშკარად გადავიდა კონტრრეტეკვაზე. აბა, რამდენი წელია — და ამის მიზეზები ცნობილია — თავისი მიწა-წყლიდან გაძევებულია პალესტინის არაბი ხალხი?

ახლა პოლიტიკურ პატიმრებზე მოგახსენებთ: ისინი ჩვენ არა გვყავს. ისევე, როგორც ჩვენთან მოქალაქეებს არ დევნიან მათი მრწამსისათვის. მრწამსისათვის ჩვენთან არ ასამართლებენ.

მაგრამ ყოველმა სახელმწიფომ თავი უნდა დაიცვას იმათგან, ვინც ხელყოფს მას, ქადაგებს მის შერყევასა თუ მოსპობას, ვინც ბოლოს და ბოლოს, ჯაშუშობს უცხოეთის დაზვერვათა სასარგებლოდ. ეს მოქმედება ჩვენი კანონებით მიჩნეულია სახელმწიფო დანაშაულად. ამ ბოლო დროს, როგორც მაცნობეს, სსრ კავშირში ყოველი ამგვარი დანაშაულისათვის სასჯელს იხდის 200-ზე ცოტა მეტი კაცი.

სახაროვის შესახებ. მე უკვე მომიხდა პასუხი გამეცა ამგვარ კითხვაზე, ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ. როგორც ცნობილია, მან დაუშვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედება. ეს არაერთ ხელ თქმულა პრესაში. მის მიმართ განხორციელდა ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისი ღონისძიებანი.

საქმის ფაქტობრივი ვითარება ახლა ასეთია. სახაროვი ცხოვრობს გორკში ნორმალურ პირობებში. ეწევა მეცნიერულ მუშაობას, კვლევინდებურად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემის ნამდვილ წევრია. რამდენადაც ვიცი, მისი კანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია.

მისი ცოლი ახლახან გაემგზავრა სამკურნალოდ საზღვარგარეთ. რაც შეეხება თავად სახაროვს, მან კვლევინდებურად იცის განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლოებანი და ამის გამო საზღვარგარეთ წასვლა არ შეუძლია.

მოგახსენებთ ცენზურის შესახებაც. იგი ჩვენთან არის. მისი ამოცანაა არ დაუშვას პრესაში სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებათა გამხელა, ომის, ძალადობის, სისასტიკის პროპაგანდა, პიროვნების ბუჩად აგდება, პორნოგრაფია. გამოსაქვეყნებელი ნაწარმოებების შერჩევა, მათი რედაქტირება, შემოკლება და ა. შ. — ეს თვით მასობრივი კოლეგიებისა და მათი სარედაქციო ინფორმაციის საშუალებებისა და წიგნის გამომცემლობების საბჭოების საქმეა. ამას შემიძლია დავსძინო მხოლოდ ერთი რამ — ამა თუ იმ სახით ასეთი ცენზურა ყოველ ქვეყანაში არსებობს. თქვენთან, მაგალითად, რა დაბეჭდონ და რა არა, განსაზღვრავენ გაზეთებისა და გამომცემლობათა მფლობელები, ან მათ მიერ დაქირავებული რედაქტორები. ხოლო ცალისწამებისათვის ან სახელმწიფო საიდუმლოების გამეღვნებისათვის ასამართლებენ. ალარაფერს ვამბობ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებულ ისეთ პრაქტიკაზე, რომელიც გულისხმობს რეაქციონერთა ჯგუფების ზემოქმედებით სასკოლო ბიბლიოთეკებიდან წიგნების ამოღებას, მათ შორის, როგორც პენ-კლუბის ბოლო კონგრესზე აღინიშნა, ისეთი მწერლების წიგნებისა, როგორნიც არიან დოსტოევსკი, ჰემინგუეი, დრაინსიე კი, რომ არაფერი ვთქვათ „ანა ფრანკის დღიურზე“. ასეთია ფაქტები. ფაქტი კი, როგორც ცნობილია, ჯიუტია.

დასანანია, რომ საფრანგეთში. საერთოდ დასავლეთში, ასე ნაკლებად იცნობენ საბჭოთა პრესას, ტელევიზიას, რადიოს. სიტყვის თავისუფლება, კრიტიკის თავისუფლება ჩვენთან მეტად ფართოა. ქვეყანაში იმართება საკრო, ზოგჯერ მეტად მწვავე დისკუსიები. ახლა, ყრილობის წინ, ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება. და, მართალი გითხრათ, ფარისევლობად და მლიქნელობად მიმაჩნია ხმაურიანი კამპანიები, რომელთა მიზანია „დაამტკიცონ“ თითქოს სსრ კავშირი (ქვეტექსტი კი მხედველობაში აქვთ სერთოდ სოციალიზმი) წარმოადგენს საზოგადოებას, სადაც ეფუფვეს ერთგვარ ოფიციალური ერთიზროვნება და სხვა-დასხვა.

ჩვენს საზოგადოებაში აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, ბრძოლა უსამართლობის, კანონიერებისა და საზოგადოებრივი მორალის დარღვევათა წინააღმდეგ კონსტიტუციით დამკვიდრებული ქვეყნის ნორმაა, სადაც კრიტიკა მიჩნეულია თითოეული მოქალაქის უფლებად. უფრო მეტიც. ისინი, ვინც ამას ხელს უშლის — ჩვენში მათ ხშირად და ჩემი აზრით, საკმაოდ რბილად „კრიტიკის ჩამბშობებს“ უწოდებენ, — **კანონს ეწინააღმდეგებიან.** ამგვარი მოქმედებისათვის ნებისმიერი დონის თანამდებობის პირი სამართალშიც კი შეიძლება მიეცეს. შეიძლება, ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია ჯერ კიდევ არ იყოს სრულყოფილი, მაგრამ მთლიანად იგი ხალხის, საზოგადოებრიობის აზრის ფართო და თავისუფალი ტრიბუნაა.

კითხვა: დასავლეთის სხვადასხვა წრეებში ხშირად სვამენ კითხვას: დაძლეულია თუ არა საბჭოთა კავშრში სტალინიზმის ნამთები?

პასუხი: „სტალინიზმი“ კომუნიზმის მოწინააღმდეგეთა მიერ მოგონილი ცნებაა და მას ფართოდ იყენებენ იმისათვის, რომ ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშრს და მთლიანად სოციალიზმს.

მას შემდეგ, რაც პარტიის XX ყრილობაზე დაიყენეს სტალინის პიროვნების კულტის დაძლევის საკითხი და მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ამ საკითხზე, ოცდათი წელი გავიდა. პირდაპირ უნდა თქვას, ეს ჩვენი პარტიისათვის ძნელი გადაწყვეტილებები იყო. ეს იყო პარტიული პრინციპულობის, ლენინიზმის ერთგულების გამოცდა.

ვფიქრობ, რომ ეს გამოცდა ღირსეულად ჩავაბარეთ და ჯერთვანი დასკვნები გამოვიტანეთ წარსულიდან. ეს ეხება თვით პარტიისა და მთლიანად საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებას. ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია კიდევ უფრო განვავითაროთ დანაპარტიული დემოკრატია, ისევე, როგორც მთლიანად სოციალისტური დემოკრატია, განვამტკიცოთ კოლეგიური მუშაობის პრინციპები, გავაფართოოთ საჯაროობა. პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი მოითხოვენ ხელმძღვანელ პოსტებზე არჩეული ადამიანებისაგან თავმდაბლობას, უნერგავენ კომუნისტებს შეურიგებლობას პიროვნებისა და მლიქნელობისადმი. ჩვენ ვანმეტებთ ყველაზე მეავნიეტებთ უდიდეს მნიშვნელობას სოციალისტური კანონიერების დაცვა-განმტკიცებას, მუდამ მეაცრ კონტროლს გავუწევთ სამართალდაცვითს ორგანოებს. ყოველივე ეს ჩვენი პარტიის ახლანდელი პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულებანია, და ეს მუშაობა, მთელი ჩვენი დღევანდელი ცხოვრება დამჯერებლად უპასუხებს თქვენს კითხვას.

კითხვა: რა გავლენას მოახდენს ახლა თქვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები სსრ კავშირის კულტურული ცხოვრების მდგომარეობაზე, რომელსაც, სხვათა შორის, ცუდად იცნობენ დასავლეთში?

პასუხი: ჩვენს კულტურულ ცხოვრებას დასავლეთში მართლაც ძალიან ცუდად იცნობენ და თუ მთლად გულახდილად ვიტყვით, ზოგ-ზოგები დასავლეთში ამით სარგებლობენ და ძალიან აჩრიან ადამიანებს ნაყალბეს, ამახინჯებენ საქმის ნამდვილ ვითარებას.

ახლა საბჭოთა კავშირს კულტურის საგრძნობი აღმავლობის პერიოდი დაუდგა. ჩვენი თანამედროვეები ბევრი გამოჩენილი მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი, მხატვარი, ოპერის, ბალეტის, დრამის, კინოს მსახიობი და რეჟისორი. გამოჩენილი არა მარტო ჩვენი, არამედ მსოფლიო საწყაოთიც. ლიტერატურა და ხელოვნება ჩვენს ქვეყანაში არა ერთი მუჭა მცოდნეებისა და მეცენატების, არამედ ხალხის უდიდესი მასების კუთვნილება ვახდა.

საბჭოთა კავშრში მსოფლიოში არნახული ტირაჟით გამოიცემა კლასიკური და თანამედროვე პოეზია და პროზა — როგორც საბჭოთა, ისე უცხოური, მათ შორის, რა თქმა უნდა, ფრანგულიც. მაგრამ, ალბათ, ჩვენი კულტურული ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენაა ხალხური მხატვრული შემოქმედების ფართო განვითარება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში მიმღინარე გარდაქმნები უდაოდ ზეგავლენას საბჭოთა კულტურასაც, სასიკეთო გავლენას მოახდენს მასზე.

კულტურის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის, მისი ყოველმხრივ აყვავებისათვის ყველა საჭირო პირობა გვაქვს: ფართო მასების განათლება, სულიერი ღირებულებებისადმი უდიდესი პატივისცემის, ინტერესის, მიდრეკილების შესანიშნავი ტრადიციები, ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნული კულტურის მთელი სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მისაწვდომობა და, ბოლოს, პარტიის პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარება ერთ-ერთ ყველაზე პიორიტეტულ ამოცანად მიაჩნია. ახლა იმაზეც ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვნად განვამტკიცოთ კულტურის, მთელი სულიერი სფეროს მატერიალური ბაზა.

კითხვა: ახლა ნება გვიბოძეთ საერთაშორისო საკითხებზე გადავიდეთ. შეიძლება თუ არა ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ გეგმებს ომი მოჰყვეს? ამჩნევთ თუ არა ევროპის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების აღდგენის ახალ ნიშნებს?

პასუხი: ერთბაშად ორი კითხვა დამისვეთ.

პირველი ეხება ამერიკის „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას. ეს პროგრამა, ჩვენი ღრმა რწმენით, ნამდვილად აძლიერებს ომის საფრთხეს, გარკვეულ ეტაპზე კი შეიძლება იგი მოსალოდნელი გახდოს. ასეთი დასკვნების დასაბუთებაზე არაერთხელ გვილაპარაკია და საკმაოდ დაწერილებითაც. მინდა ყურადღება მივაპყრო პრობლემის მხრივ ერთ ასპექტს.

თუმცა „ვარსკვლავეთის ომების“ მთელი ჩანაფიქრის განხორციელების დამთავრება დაგეგმილია ათწლეულების შემდეგ, ხოლო ის, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ ერთი მუჭა „ენთუზიასტებს“ სწამთ, მას უკვე უახლოეს მომავალში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები ამ საქმეში იჭიუტებს, უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვება. საქმე ეხება იმას, რომ როცა „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამას ახორციელებს, ვაშინგტონი, არსებითად, შეგნებულად ცდილობს ჩაშალოს მიმდინარე მოლაპარაკება და ხაზი გადაუსვას ყველა არსებულ შეთანხმებას შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ასეთ შემთხვევაში უკვე უახლოეს წლებში სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, მათი მოკავშირეები, მთელი მსოფლიო აღმოჩნდებიან აბსოლუტურად უკონტროლო გამალებული შეიარაღების, სტრატეგიული ქაოსის, სტაბილურობის უაღრესად საშიში შერყევის, საყოველთაო ურწმუნოებისა და შიშის და ყოველივე ამასთან დაკავშირებული კატასტროფის რისკის გადიდების ვითარებაში. ეს, ვიმეორებ, საფრთხეა, რომელიც ჩვენს შვილთა-შვილებს კი არა, თვით ჩვენ, ყველა ჩვენგანს, მთელ კაცობრობას ემუქრება.

მაშ რის გულისთვის უნდა გაეწიოთ ასეთი რისკი? დასაშვებად მიმაჩნია, რომ პირადად პრეზიდენტ რეიგანს სწამს „ვარსკვლავეთის ომების“ ხსნის მისია“. მაგრამ თუ მთელი საქმე ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ ბირთვულ საფრთხეს, მაშინ რატომ არ უნდა დაეთანხმოს არსებითად ამერიკის შეერთებული შტატები სსრ კავშირის უკანასკნელ წინადადებებს: ისინი ხომ ითვალისწინებენ ბირთვული საფრთხეთა თავიდან აცილების გაცილებით უფრო მოკლე, პირდაპირ, იაფდა, რაც მთავარია, უსაფრთხო გზას — ბირთვული იარაღის სრულ ლიკვიდაციას. ხაზს ვუსვამ, უფრო უსაფრთხო გზას. ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა ხომ, რომელსაც ახლა ამერიკის შეერთებული შტატები გვთავაზობს, ეიმედოა. „ვარსკვლავეთის ომების“ მომხრეთა მტკიცების საწინააღმდეგოდ ბირთვული იარაღი უბრალოდ ვერ მოსწრებს „მოძველებას“, პირიქით, იგი სულ უფრო დაიხვეწება. და საქმე შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ იგი იმდენად რთული გახდება, როცა მოგვიხდება გადაწყვეტილ ებ ა მთლიანად ელექტრონულ-გამოთვლითს მანქანებს, ავტომატებს მიანდოთ, და ამით კაცობრობის ცივილიზაცია მანქანების და, მაშასადამე, ტექნიკური გაუმართაობისა და შეფერხებების მძევლად ვაქციოთ. თუ რაოდენ საშიშია ეს, კიდევ ერთხელ ცხადყო ამასწინანდელმა ტრაგედიამ, რომელიც მოუვიდა ამერიკის კოსმოსურ ხომალდს „ჩელენჯერს“ — იმდენად საიმედო, მრავალჯერ გამოცდილ და შემოწმებულ ხომალდს, რამდენადაც დღეს ეს საერთოდ შესაძლებელია.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს კარგად ესმით ვაშინგტონშიც, რომ იქ ბირთვული საფრთხისაგან ხსნის ასეთი სიურეალისტური გეგმის ერთ „მორწმუნეზე“ სულ ცოტა ათი ცინიკოსი მოდის, რომლებსაც სრულიადაც არ უდევთ გულში ის, რაზეც, როგორც ჩანს, ლაპარაკობს და ოცნებობს პრეზიდენტი რეიგანი. ზოგი, მაგალითად, ამბობენ, რომ „შეუღწევ ფარს“ ვერ შექმნი, მზად არის ნაკლებზეც, შეზღუდულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე, რომელიც მეორე მხარეს შურისძიების ძალებზე დაწერებითი დარტყმის საშუალებებთან შეხამებით შექმნიდა დაუსჯელი ბირთვული აგრესიის შესაძლებლობას. სხვებს უბრალოდ სურთ ჯიბის გასქელება; ზოგიერთებს — ჩათრიონ სსრ კავშირი გამალებულ კოსმოსურ შეიარაღებაში და შეარყიონ მისი ეკონომიკა. ზოგიერთები ფიქრობენ გაადიდონ ამერიკის შეერთებული შტატების ტექნოლოგიური უპირატესობა დასავლეთ ევროპასთან შედარებით და ამით უზრუნველყონ მისი დამაკიდებულება... და ასე შემდეგ.

ასე რომ, „ვარსკვლავეთის ომების“ საკითხი მეტად ფართოა. აქ ერთმანეთს შეეჯახა არა მარტო ორი შეხედულება ამ კონკრეტულ პროგრამაზე, არამედ ორი მიდგომაც, უშიშროების ორი კონცეფცია.

ამერიკის კონცეფცია გულისხმობს, უზრუნველყონ უშიშროება უწინარესად სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით, ამ შემთხვევაში ახალი „ზეიარაღის“, ტექნიკური ფოკუსის მეშვეობით, რომელიც ხელს შეუწყობდა ბირთვული ჩიხიდან თავის დაღწევას. თანაც, მიუხედავად სრულიად გაურკვეველი, სასაცილომდე დაუჯერებელი ლაპარაკისა იმაზე, რომ მზად არის „თავის დროზე“ „სასწაული ტექნოლოგია“ გაუზიაროს სხვა ქვეყნებს, მათ შორის სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ ჩიხიდან გამოღწევა მარტოოს სურს: რათა მიაღწიოს თავის აბსოლუტურ უშიშროებას, „აბსოლუტური საშიშროების“ მდგომარეობა შეუქმნას ყველა სხვას.

საბჭოთა კონფიგურა გულისხმობს, უზრუნველყონ ყველასათვის თანაბარი უშიშროება შეიარაღების შემცირებისა და განიარაღების გზაზე, მათ შორის ყველა სახეობის მასობრივი მოსპობის იარაღის სრული ლიკვიდაციაც, რადგან ჩვენს დროში შეიძლებელია სსრ კავშირის უშიშროება, თუ არ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროება, შეუძლებელია ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების უშიშროება, თუ არ იქნა ნატოს ქვეყნების უშიშროება. ხოლო თუ მათი ურთიერთუშიშროება არ იქნა, ვერც საყოველთაო უშიშროება იქნება.

ვუპასუხებ რა თქვენს კითხვას, საგანგებოდ მინდა გამოვყო ბირთვული იარაღისგან, უწინარეს, ყოვლისა, საშუალო სიშორის რაკეტებისაგან, იმ რაკეტებისაგან ევროპის განთავისუფლების პრობლემა, რომლებიც სერიოზულად არაფერი ევროპის უშიშროებას. და აქ თქვენ სრული უფლება გაქვთ იქონიოთ ინგლისის და, რა თქმა უნდა, საფრანგეთის პოლიტიკის რეალიზმისა და კეთილგონიერების იმედი.

ბირთვული შეიარაღების მოგბრენი მიმართავენ არგუმენტს იმის შესახებ, თითქოს მისი ლიკვიდაცია დასავლეთს „უმწეოს“ დატოვებს ეგრეთ წოდებულ ჩვეულებრივ შეიარაღებაში საბჭოთა „უპირატესობის“ წინაშე. არ დავიწყებ ახლა კამათს იმაზე, გვაქვს ასეთი „უპირატესობა“ თუ არა, მთავარია სხვა რამ — ჩვენი წინადადებანი ითვალისწინებს ამ შეიარაღების შემცირებასაც, ისევე როგორც ნდობის ღონისძიებების განმტკიცებას. ჩვენ იმიტომ არ წამოგვიყენებია ბირთვული იარაღის მოსპობის წინადადება, რომ გამალებული შეიარაღება უბრალოდ გადაგვეტანა სხვა სფეროებში, რომლებიც დროთა განმავლობაში არანაკლებ საშიში გახდება.

გვესმის, რომ ჩვენი უშიშროების კონცეფციის განხორციელება მოუხოვს უდიდეს ძალისხმევას, შრომას, შეუპოვარ ბრძოლას, ათასწლოვანი ტრადიციების მსხვრევას, რაზეც უკვე ვილაპარაკე. მაგრამ მსოფლიოს აღარ შეუძლია განაგრძოს ცხოვრება და მოქმედება ძველებურად, როცა ბირთვული ომის საფრთხე რეალურია.

შესაძლებელია თუ არა საერთოდ უიარაღო მსოფლიო, უომო მსოფლიო? ამ კითხვას მე კითხვითვე ვუპასუხებდი: განა შესაძლებელია კაცობრიობის ცივილიზაციის შენარჩუნება, თუ განვაგრძობ განუწყვეტელ მზარდ გამალებულ შეიარაღებას, გავამწვავებ დაძაბულობას, ვიბალანსირებთ ომის ზღვარზე, რომელიც, ასე ვთქვათ, სულ უფრო წვრილდება? შეიმჩნევა თუ არა ყველივე უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების აღდგენის ნიშნები? აქ, ჩემი აზრით, სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ შეფასების დროს. დიახ, ერთგვარი ნიშნები ჩნდება. და საქმე ეხება არა მარტო და არა იმდენად ცალკეულ ძვრებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის დარგში: ისინი მეტად შეზღუდული, პერიფერიულია, არ ეხებიან ძირეულ საკითხებს. სამგიერად პოლიტიკური ატმოსფეროს გარკვეული ცვლილება უკვე იგრძნობა. და ამან ბევრი ქვეყნის ხალხებს ჩაუსახა იმის იმედი და რწმენა, რომ შესაძლებელია დავუბრუნდეთ დაძაბულობის შენელებას, შევწყვიტოთ უგუნური გამალებული შეიარაღება, განვავითაროთ ნორმალური მშვიდობიანი საერთაშორისო თანამშრომლობა. ეს კი უკვე რადაც რეალური, პოლიტიკურად არსებითია.

პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც იცვლება, ვგეხმარება ჩვენც, ეხმარება საბჭოთა კავშირს უფრო გაბედულად, უფრო მტკიცედ მიუდგეს ახალი წინადადებების, ახალი ინიციატივების შემუშავებას. ზოგჯერ მეკითხებიან: შეუძლია თუ არა საბჭოთა კავშირს სჯეროდეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია, აგრეთვე მისი ზოგიერთი მოკავშირე ქვეყნის მთავრობები დათანხმდებიან ახალ საბჭოთა წინადადებებს? ისეთ წინადადებებს, როგორიც არის, მაგალითად, ბირთვულ აფეთქებათა სრული აკრძალვა, ბირთვული იარაღის ეტაპობრივი მოსპობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში, გამალებული შეიარაღების თავიდან აცილება კოსმოსში და ა. შ.

კითხვა კანონზომიერია. მაგრამ პოლიტიკის აგება, განსაკუთრებით ბირთვულ საუკუნეში, შეუძლებელია პრინციპით — გჯერა თუ არა შენ პარტნიორისა საერთოდ. პოლიტიკა უნდა ავაგოთ რეალურ საფუძველზე, ამასთან გაკვიფთვალისწინოთ ძალების განწილება საერთაშორისო სასაურეზე, დროის მოთხოვნილებანი, საკუთარი ხალხის, სხვა ხალხების, საყოველთაო მშვიდობის ინტერესები. და რაკი ასეა, საბჭოთა კავშირი, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, უბრალოდ ვალდებულია მსოფლიოს შესთავაზოს რადიკალური და ამავე დროს რეალისტური, ყველა ხალხის ინტერესების გამომხატველი ალტერნატივა ბირთვული ომისა, კაცობრიობის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის პროგრამა. ასეთი წინადადებანი — ეს თავისებური „ჭეშმარიტების მომენტია“.

ისინი მოლაპარაკებაში ჩვენს პარტნიორებს აიძულებენ ჩამოიხსნან ნიღაბი, გვიჩვენონ, სინამდვილეში რა მიზნებს ისახავს მათი პოლიტიკა, როცა ჩვენ წამოვაყენეთ ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმი, გვითხრეს — ხედავთ, რა ეშმაკები არიან, წელს მეტი გამოცდები მოაწყვეს (ეს, უნდა აღინიშნოს, სიმართლე არც მაშინ ყოფილა), ახლა კი ამერიკის შეერთებულ შტატებს სთავაზობენ, შეჩერდითო. ჩვენ უკვე მეშვიდე თვეა არ ვაწყობთ გამოცდებს. ახლა ამერიკის შეერთებული შტატებიც ვერ გამოიყენებს ამ საბაბს. მაშინ დაიწყეს ლაპარაკი კონტროლზე, შემოწმებაზე. ჩვენ განვცხადეთ, რომ მზად ვართ შემოწმების ყოველი ღონისძიებისათვის. გამოირიცხა ეს საბაბიც. რაღა რჩება? ხუთუ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება, რადაც უნდა დაუჯდეს განგრძოს გამალებული შეიარაღება?

ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილ „დეკრეტში ზავის შესახებ“ (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ახლად დამტკიცებული საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე პირველი დეკრეტი) გამოთქმული იყო ისტორიაში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მტკიცე გადაწყვეტილება აწარმოოს პოლიტიკა, „იმოქმედოს აშკარად მთელი ხალხის წინაშე“, მისი მოწოდება „მომართული უნდა იყოს როგორც მთავრობების, ისე ხალხებისადმი“, დაეხმაროს „...ხალხებს ჩაეროინ ომისა და ზავის საკითხებში“. „ჩვენ — თქვა ლენინმა, როცა ამ დეკრეტის პროექტი წარუდგინა საბჭოების ყრილობას, — ვებრძვით მოტყუებას თავადრობათა მხრივ, რომელიც მხოლოდ ლაპარაკობენ მშვიდობაზე, სამართლიანობაზე, ნამდვილად კი დაპყრობითს ძმარცველურ ომებს აწარმოებენ“. და ამავე დროს იგი ამბობდა, მხედველობაში ჰქონდა რა საბჭოების ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან: „ჩვენ ნება არა გვაქვს საშუალება მივცეთ მთავრობებს და არც უნდა მივცეთ საშუალება ამოეფარონ ჩვენს დაუთმობლობას და დაუბალონ ხალხებს, თუ რისთვის ბაგანიან მათ სასაკლაოზე... ულტიმატურობა მდგომარეობს შეუმუსუტებს ჩვენს მოწინააღმდეგეთ. ჩვენ კი ყველა პირობას დავანახვებთ ხალხს. ჩვენ ყველა მთავრობას დავაყენებთ ჩვენი პირობების წინაშე, — და დაე პასუხი გასცენ მათ თავიანთ ხალხებს“.

ასეთია საკითხის პრინციპიალურ კომუნისტური დაყენება. და მე შემთხვევით როდი გავიხსენე ლენინის ეს სიტყვები, ლენინური პრინციპები.

მაშინდელი და ახლანდელი სიტუაციები ძალიან ჰგავანან ერთმანეთს. 1917 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს, უმთავრესი ეიო საკითხი: როგორ დაემთავრებინათ რაც შეიძლება სწრაფად სისხლისღვრა, რომელიც ხალხებს იმპერიალისტურმა მთავრობებმა მოახვიეს თავს. და ვ. ი. ლენინმა, პარტიამ გადაწყვიტეს, რომ ყველაზე ეფექტიანი გზა იყო მიემართთა არა მარტო მთავრობების, არამედ ხალხებისთვისაც. ახლა მსოფლიოს ხალხები ჩათრეული არიან გამალებულ შეიარაღებაში, ბირთვულ მეტოქეობაში, რომელიც კიდევ უფრო საშინელ სასაკლაოს გვიქადის. და ბუნებრივია, რომ ჩვენ, როცა თანამიმდევრულად, გულდასმით ვმუშაობთ ამ პრობლემების გადასაჭრელად დასავლეთის მთავრობებთან ერთად, მუდამ მიგმართავთ ხალხებსაც, ვაცნობთ მათ ჩვენს პოლიტიკას.

კითხვა: არის თუ არა საფუძველი მომავალში ავღანეთში ომის დამთავრებისა და, მაშასადამე ამ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანისა?

პასუხი: ჩვენ ძალიან გვინდა ეს და, რამდენადაც ძალგვიძს, ვეცდებით ამის მიღწევას. ავღანეთის მთავრობა, როგორც ვიცით, ამავე პოზიციას ადგას. იგი მზად არის შორს წავიდეს ქვეყნის საშინაო განვითარების რთულ პრობლემათა მოწესრიგების გზით, აქტიურად აბამს ცხოვრების მოგვარებაში სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში, მათ შორის ტომების, სამოვდელოების, ინტელიგენციის, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

ამასთან ერთად ამ საქმეში ყველაფერი როდია ავღანეთის მთავრობაზე დამოკიდებული. ამ კონფლიქტში, რომელიც, კაცმა რომ თქვას, სწორედ გარედან ჩარევის გამო წარმოიქმნა, მონაწილეობენ მისი განგრძობით და ფაფართოებით დაინტერესებული გარეშე ძალები — ესენი არიან პაკისტანი და ამერიკის შეერთებული შტატები. მოვლენათა განვითარებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია დასავეთ ევროპასაც. ვფიქრობთ, აქ რომ ფხიზლად შეეფასებინათ ავღანეთში და მის გარშემო შექმნილი ვითარება, ეგრეთვე, ცხადია, აეწონ-დაეწონათ თავიანთი საკუთარი ინტერესები, საყოველთაო მშვიდობის ინტერესები, პრობლემის გადაჭრისათვის ხელშეწყობის გზები გამოიძებნებოდა.

კითხვა: შეიძლება თუ არა ამერიკელ უმჯობესდეს საბჭოთა ტერორიზმ საფრანგეთის ურთიერთობა, — ეს ბრალი ... ...



გაზაფხული ისევ მოდის იორზე

დღევანდელი ნომრის სტუმარი

ᲩᲛᲐ ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ, როგორ ეხალისებათ ხოლმე ჩვენი რედაქციის მბეჭდავ-მემანქანეებს გიორგი ნატროშვილის ნაწერის ბეჭდვა: ჩაწერკვლებულია ასოები, ნალოლიავებია მათი მოხაზულობა, სტილი ნათელია და ჩამოძერწილი...

— სთხოვე, იქნებ ერთი ეგზემპლარი ჩემთვისაც დაბეჭდოს...

— კი, ბატონო გიორგი, თქვენ წაბრძანდით, აწი ჩვენ ვუპატრონებთ...

— არა... არა... დავიცდი, მაინც დავხედავ...

მერე უკვე საღამოხანს სტამბაშიც მოგვაკითხავს, ყურადღებთ ჩაასწორებს, თუ სადმე კორექტურაა, კარგად იცის, რომ ავტორის თვალი ბევრს ნიშნავს ასეთ დროს.

ჩვენი ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ ამბებს ვინ უნდა გამოეხმაუროს? გიორგი ნატროშვილი! რეცენზია წიგნზე, პორტრეტი თანამედროვისა — ვინ უნდა. დაგვიწეროს? გიორგი ნატროშვილს ვეტაკავთ...

მაინცდამაინც დიდი ოპერატიულობით არ გამოირჩევა, ცოტა „გაჯანჯლება“ უყვარს, და ესეც, უდავოდ, დადებითი შტრიხია მისი მოღვაწეობისა, რადგან რასაც დაწერს და მოიტანს, უკვე ღრმადაქვს გააზრებული, საგანი და მოვლენა ზედმიწევნით აქვს შესწავლილი.

და ხატავს იშვიათი ბელეტრისტის კალმით...

აი, მოაბიჯებს იგი ჩვენი რედაქციის დერეფანში, ნელა, თითქოს ფრთხილობს კიდეც დაბიჯებისას, განუყრელი კეპი ახურავს და იღლიაში ტყავის სქელი საქაღალდე ამოუჩრია.

ფრთხილობს დაბიჯებისას...

ვერასდროს გავუბედე მეკითხა ამ ნატყვიარი ფეხების ამბავი. ახლა, სამოცდათხუთმეტი წლის თავზე, საუბარში თავისთავად სიტყვას მოპყვა:

— დიდი სამამულო ომის დროს დასავლეთის ფრონტზე ვიბრძოდი — ტულისა და სმოლენსკის ოლქში. 1943 წელს მძიმედ დავიჭერი ტყვეთად ფეხებში... მთელ წელიწადს ვიწექი... რამ გადამარჩინა... (ღიმილით)... თურმე მეთერთმეტე გიორგი ნატროშვილი ავდებოდა...

— როგორ, მეთერთმეტე?

— ჩემს სოფელში გავიგე, ზემო მაჩხაანში, ამ ოცი წლის წინათ... ერთ დღეს წითელწყაროში ჩავედი და, რა თქმა უნდა, მშობლიურ სოფელსაც ვეწვიე... შემომეგება ჩვენი ნიკო მამაიაშვილი — სახელოვანი თავმჯდომარე, სალამ-ქალამის შემდეგ „ულტურის სახლში მიმიყვანა, ომში დაღუპულთა მემორიალს ვაკეთებთ, უნდა გიჩვენო... სინანულით მივჩერებივარ ამ თვალადი ბიჭების სურათებს და რას ვხედავ! სხვებთან ერთად ჩემი თანასოფლელი ათი გიორგი ნატროშვილი შემომცქერის ომის გზებზე დაცემული და შინმოუსვლელი... მეთერთმეტე გიორგი ძლივს გადავრჩი, მაგრამ დღესაც ყოველ ნაბიჯზე მახსენებს თავს ის საშინელება...

გეგენა

ᲒᲔᲒᲔᲜᲐ მთელ შირაქში სახელგანოქმული მეცხვარე იყო.

ᲨᲣᲐᲮᲐᲜᲡ რომ გადასცილდა, იფიქრა — მეყოფა ახლა ორიალეთის ხევხუვებში წანწალი, დე მთაში ახლა ჯეილები წავიდნენო. ადგა და გასწია კანტორისაკენ. სთხოვა თავმჯდომარეს მემინდვრეთა ბრიგადაში გადამიყვანეო.

— ერთი თოხი მექნება, სადაც ღობეღლები, იქ გადავაგდებ! კაცი არ წაიღებს, არც მგელი შეჭამს, არც ტურა! იმ ბატანების მოვლა კი აღარ შემიძლია, ძუღუთა ბავშვებივით არიან, იმათისავით უნდა ეფერო და ეალერსო. გუშინ ივრის საძოვრებზე ჩავედი, ფარეხში თივის შეკრული კონები სკამებივით ჩაემწკრივებინა ყოჩიაანთ ცალთვალა ივანეს და ბატკნებს ახტუნებდა. იყო ერთი გაუთავებელი „ბეე“ და „მეე“, დედებს ეძახოდნენ პატარები. კაცო, რას ჩადი-მეთქი და, ხელს ნუ გვიმლი, აქ საბავშო ბაღია გამართულიო. მაქვს მე ამის თავი? არა, აღარ შემიძლია!

თავმჯდომარე ჭკვიანი კაცი იყო, ასე ადვილად ვერ შეელეოდა ასეთ კარგ მეცხვარეს, ისიც ახლა, როცა სოფლის ბიჭებს აღარ იტაცებს მეცხვარის პროფესია. თავმჯდომარემ გადახედა მოანგარიშე ქალიშვილს და წყრომით უთხრა:

— ნუნუ, გადააფორმე გეგენა, აღარ მინდა ცხვარშიო, დაე მინდორში წავიდეს! აგრეთვე ბოქნიაც, სულ ნადირს ეაუმეტესია დედა ცხვარიცა და ბატკანიც. გეგენას რომ არ დაეანებება ცხვრის ფარები, [illegible] წყალსა და ღვარის [illegible]. [illegible]

— [illegible] — მოიცა, შვილო! — მწარედ გადააქნია თავი დაღონებულმა მეცხვარემ, — გადააფორმეო! მე აღარ მეკითხებიან? არა, თანახმა არა ვარ...

გიორგი ნატროშვილი ● კატარა მოთხრობები

თუშის ქალი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. მარჯანიშვილის ქუჩა. ცენტრალური უნივერმაღი ამ ქუჩაზეა და აქეთ რომ ჩავიარ ხოლმე, საყიდელიც რომ არაფერი მქონდეს, არ შემიძლია ამ მაღაზიაში არ შევუხვიო.

უფიქრელად დავეხეტები ერთი სართულიდან მეორეზე, ერთი დარბაზიდან მეორეში.

კარგა ხანია დამჩემდა ეს, ერთხელ, შემთხვევით შესულმა მყიდველთა შორის სოფლელი ქალები შევამჩნიე, ერთ ჯგუფად დადიოდნენ, უფრო ახლოს მივედი, ჩვეულებრივ ეცვათ, ქალაქურ ყაიდაზე, მაგრამ იერზე და კილოზე შევატყვე თუშები იყვნენ, დიკლო-ომალოდან თუ ზემო ალვანიდან ჩამოსულები, იქნებ საყიდლებზე, იქნებ რაიმე რესპუბლიკურ შეკრებაზე.... არ ვიცი.

ვხედავ დადიან, სინჯავენ და არჩევენ საქონელს, ზოგსა სწუნობენ და ზოგსაც ყიდულობენ.

პირველ სართულზე, მარჯვნივ, იმ დარბაზში, სადაც მუსიკალური ინსტრუმენტები იყიდება, ერთბამად შეჩერდნენ, ჩამოათვალიერეს თაროები, ბოლოს ერთმა ახალგაზრდა ქალმა აკორდეონი გადმოალებინა, ეტყობოდა, ყიდვა გადაწყვიტა და იმის მიშით, ხინჯი და ზიანი არაფერი ჰქონდესო. გასასინჯად მხრებზე მოიგდო.

ნელა, სულ ნელა ათამაშდნენ თითები ფორტეპიანოსებრ კლავიშებზე და დარბაზში დამაბრმავებელი შუქივით წამოვიდა მელოდია:

— სად გაგათხოვო, ქალაუ, საით გიმოვნო ქმარიო...

— კახეთი მიყვარს, დედილავ, კახეთის მთა და ბარიო!

უცებ გაჩუმდა მთელი დარბაზი, მიწყდა მყიდველისა და გამყიდველის ჩრიამული. მომხიბვლელად ყელყელაობდა ლამაზი, მერე ერთი მორცხვად გადახედა ჩაწყნარებულ ხალხს, მიხედა, ყველას მოვწონვარო, ჩეეი დაკვრაც და ხმაც მოსწონთო, და ამიტომ უფრო ლამაზი გახდა.

პირიმზის ყვავილს დაენსგავსა, კლდეებზე ამოსულს.

რა ვიცი, ეგებ სულაც არა ჰქონია აზრად დაეკრა და ემღერა აქ, ეგებ მარტო საკრავის გასინჯვა უნდოდა... და აი, მოულოდნელად დაიპყრო აქაურობა, ერთბამად იყიდა ჩვენი გული და საფასურში მოგვცა ფასდაუდებელი ბედნიერება — გვეძლირა მისთვის და დაგვენახა, როგორი ლამაზი და ახალგაზრდა იყო.

მერე დარცხვენილმა მხრიდან საკრავი მოიხსნა და გამყიდველს სთხოვა ქვითარი გამოეწერა.

ვინ დაანება, გამყიდველმა მეორე აკორდეონი გადმოუღო — ეს უკეთესიაო. მყიდველთაგან ვიღაცამ დაუდასტურა — მართალია, ეგ მიეცით, მაგას ყველაზე უკეთესი საკრავი ეკუთვნისო. მიხვდა თუშის ქალი, რაც ხდებოდა, და ახლა მეორე საკრავი აახმიანა, აახმიანა და თვითონაც აპყვა...

უფრო ბლომად მოგროვდა ხალხი. მოხიბლულნი უსმენდნენ მეიორ კილოს, იმ მეაბივით ზვიადსა და გულისწამღებს.

— ეს მართლაც უკეთესიაო! — თქვა თუშის ქალმა მისახვედრი ღიმილით და მოიხსნა მხრიდან მეორე საკრავიც, „აგერ მაგაზე უკეთესიო“, მესამე მიაწოდეს თბილისელებმა.

აღარ ეხსნებოდნენ, არ უნდოდთ მასთან განშორება.

ასე მოულოდნელად შეწყდა ვაჭრობა და დაიწყო პოეზია, დარბაზში თუშეთის თვალჩაუწვდენელი უფსკრულების შორეული გამოძახილი ხმიანებდა.

დაიღალა თუშის ქალი, დაიქანცა ლამაზი.

მას მერე, რამდენჯერაც ჩავიკარი ხოლმე ამ ქუჩაზე, აუცილებლად შევდივარ ამ მაღაზიაში და მგონია, ისევ დავინახავ იმ ყველაზე ლამაზს, არც შეიძლება კიდევ ერთხელ არ ჩამოვიდეს.

არც სახელი ვიცი მისი, არც გვარი, არც მისამართი. წერილს ვერ მივწერ. მაგრამ იქნებ წაიკითხოს ეს სტრიქონები, გაიხსენოს თავისი იმპროვიზებული კონცერტი და მიხვდეს, როგორ ენატრება თბილისს იმისი ხმის გაგონება!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ღაღნია ლევანა

ᲝᲓᲔᲡᲚᲐᲪ ზემო მაჩხაანში ცხოვრობდა ერთი კაცი, ღაღნია ლევანას ეძახდნენ, გვარად ნატროშვილი იყო, ქართული ენის ლექსიკონში წერია, ღაღნია უდარდელსა და უქონელ კაცს ნიშნავსო. ვინც ლევანას იცნობდა, ის არასგზით ამ განმარტებას არ დაეთანხმებოდა. ლევანა არც უქონელი იყო და არც უდარდელი — ის კი არა, მუდამ ისე ჩაფიქრებული დადიოდა, თითქოს მთელი ქვეყნის სადარდელი ზურგზე მარტო საწყალ ლევანას აჰკიდესო. კაცი სულ ფიქრში იყო და არავის უმხელდა თავის საფიქრალს. მოგეჩვენებოდა, სთვლემსო, ისე დადიოდა ამ წუთისოფელში, თითქოს ეს-ეს არის გაეღვიძა ისეთი უბრალო ძილისაგან კი არა, ჩვენ რომ გვძინავს ხოლმე, არა, ათასი წლის ძილისაგან.

ღაღნია ლევანა მეცხვარე იყო. ერთხელ, ივრის ჩათმა-ჭაჭუნის საზამთრო საძოვრებიდან თრიალეთისაკენ რომ მიერეკებოდნენ ცხვარს, ლაკბისხვევს რომ მიაღწიეს, ახალგაზრდა მწყემსმა ნაგვიანევი, გზაში დაბადებული ბატკანი მოუყვანა ლევანას — რა ვუყოო.

ლევანამ მარტო ერთხელ შეხედა საცოდავ ბატკანს და ბიჭს უთხრა:

— შვილო! ვერ ატყობ, სიაღნული არ შეუძლია, ჩასვი ხურჯინშიო.

ბიჭმა ბატკანი ჩასვა ხურჯინში, რომელიც სახედარს ეკიდა. არავინ იცის, რა მოხდა მას მერე, ოღონდ იმ საღამოს ბატკანი ხურჯინში აღარ იჯდა.

ჩაიქნიეს ხელი და დაივიწყეს, აქაოდა, ერთი ბატკანი რა ბედენაა, მარტო მაგის საღირალი დაგვიკარგავს, ზემომაჩხაანელებს თურაო!

გავიდა ერთი წელი და ისევ ხელახლა რომ ჩაატარა იმ გზაზე ლევანამ ფარა, დაინახა, რომ უცნობ ბერიკაცს ხელზე შეჩვეული ცხვარი მოსდევს უკან, იმ ასაკში მყოფი, ქოსმენს რომ ეძახიან. მაშინვე გაეძახა იმ ბერიკაცს:

— ბიძაჩემო, მითხარ, ეგ ცხვარი სად იპოვე.

— რას ამბობ, ქიზიყელო, საიდან მოიგონე რომ ვიპოვე, ეს ცხვარი ჩემი გაზრდილია!

ლევანამ უპასუხა:

— შენი გაზრდილი რომ არის, ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, ახალდაბადებული რომ იპოვე.

ნინოწმინდელმა ბერიკაცმა შინით შეხედა თვალებში ლევანას, თითქოს ცდილობდა ამოეცნო, რა ჯადო აქვს ამ მეცხვარესო... ლევანა კი სულაც არ აპირებდა წაერთმია ბერიკაცისათვის შვილივით გაზრდილი ცხვარი...

ასე იცნო ლევანამ ერთი წლის შემდეგ, მარტო ერთხელ დანახული უკვე ასაკში შესული კრავი.

რა არის ეს, ნიჭია, გუმანი თუ მისტიკამდე მისული ჯადოქრობა?!

ილევიან ეს ხალხი, მცნობარები, ერთი უკანასკნელი იყო ზემომაჩხაანელი მეცხვარე ნოდარ ჯანაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ნოდარი ორიოდე წლის წინ გარდაიცვალა.

მიდის ეს საკიროველი ხელობა კი არა, ხელოვნება, რაღაც პრიმიტიულ-გენიალური რამ, არც კი ვიცი, რა დავუძახო!

და აი, ერთხელ, გულნატკენმა გაზეთში დავწერე — აფსუს, რომ დღემდე ვერც ერთმა მწერალმა, ვერც ერთმა მეცნიერმა ეთნოგრაფიის სფეროდან ვერ შეძლო უბრალოდ მაინც აეწერა ეს პროფესია, მოგონება მაინც დაგვრჩებოდა-მეთქი.

თურმე ეთნოგრაფებს რას ვერჩოდი! ჩემს წერილს „სოფლის ცხოვრების“ ფურცლებზე გამოეხმაურა შესანიშნავი მეცნიერი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია და აღნიშნა, რომ ამ საკითხზე უკვე დაბეჭდილი ყოფილა ეთნოგრაფ ნანული აზიკურის სტატია, ხოლო უფრო ვრცლად აღნიშნული საკითხი შესულია მისსავე მონოგრაფიაში „თუშური მეცხვარეობა“, რომელიც დღემდე დაუბეჭდავიაო.

ეს ნაშრომი აუცილებლად უნდა დაბეჭდოს, ვინ იცის იქნებ ისევ სადმე გაიბრწყინოს მცნობარის იშვიათმა ალღომ და გუმანმა!

ᲓᲔᲕᲘᲜᲐ ᲐᲚᲒᲐᲪᲐᲛᲐ.

„იზვესტია“, 1986 წ. 6. 2.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲜ „ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ“.

„...გერმანელი მფრინავები, როცა საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ და სოფლებს თავზე გადაუვლიდნენ, თავის გასართობად სახლებს ტყვიამფრქვევიდან ცეცხლწამკიდებელ ტყვიებს ესროდნენ... თითონაც იცოდნენ, რომ იმ სახლებში ქალებისა და ბავშვების გარდა არავინ იყო, მაგრამ მაინც სწვავდნენ. ეს არის ის სპეციფიკური გერმანული „შადენფროიდე“, ის სიხარული, ის სიამოვნება, რომელსაც აგრძნობინებს გერმანელს ცქერა მის მიერვე გამოწვეული ზიანისა, ცქერა სხვისი ნაღველისა და ვაების, სხვისი უბედურებისა“.

• • •

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტდამთავრებული ყმაწვილი ომის გზებს მიუყვება. შემდეგ კი მოთხრობების წერას ის საშინელი შთაბეჭდილებები აწყვეტინებს. დაიქმნება „როგორ ვნახე მოსკოვი“, „საჭიდაო“, „ბავშვი“, „დედა“, „ახალი მთვარე“ — ნაწარმოებები, რომლებმაც შემოქმედებითი სიხარული გახაცდევინეს მწერალს, თავი შეაყვარეს მკითხველს, ხოლო ახალ ქართულ ლიტერატურას ომის თემაზე შექმნილ ჯედშმარტ პროზად შეემატენ. მათში უპირველესად გატაცებთ ბუნებრიობა, თხრობის ოსტატობა, ხასიათების მრავალსახეობა...

ხასიათებმა უმალ გამახსენა მისი გვიანდელი ორი მშვენიერი მოთხრობა „უდარდელი კაცის სიკვდილი“ და „ისევ გაზაფხული იყო იორზე“. დაუვიწყარია ამ მოთხრობათა გმირები — სიცოცხლის უზომოდ მოტრფიალე, ორი გონებამახვილი მოხუცი — მიხა და იორამი...

ᲒᲐᲖᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ
ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ
ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ ᲜᲐᲗᲕᲘᲖᲐᲛᲘ:

„ამას წინათ დიდი სიამოვნებით გადავიკითხე გ. ნატროშვილის მოთხრობები... როცა ამ წიგნის კითხვა დავამთავრე, გული დამწყდა, ასე მალე რომ გათავდა იგი... ეს ერთხელ მითქვამს მისთვის და ახლაც ვუმეორებ: არ ვარგა გადამეტებული თავმოთნეობა და ქედმაღლობა, მაგრამ არც მომეტებული თავმდაბლობაა მწერლისთვის საჭირო.

კიდევ ერთი ძმური რჩევა მინდა შევთავაზო მას გამოეორებით. მას ისე კარგად ემარჯვება პატარა ნოველულის, სიუჟეტების გაკვანძვა და გამართვა, უფუოდ დიდ ტილოსაც გაართმევს თავს“...

• • •

მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი წაახნაგია კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა. გიორგი ნატროშვილი იყო და რჩება ეროვნული ლიტერატურული ცხოვრების პირუთვნელ შემფასებლად. მის ნათქვამს წონა აქვს, მის რჩევას კეთილი გული და მეგობრული კილო ახლავს. აქ უცხოა წვრილმანი კინკლაობა და ჩასაფრება, პირად ანგარიშსწორებაზე აგებული ფუჭსიტყვაობის კაკაფონია. ამ მხრივ გიორგი ნატროშვილი დღესაც სამაგალითოა ზოგ-ზოგი „კრიტიკოსისათვის“. მის წერილებში უმალ იგრძნობთ

3. მარდალეიშვილი.

ᲐᲚᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ.

ჩვენ რაღა უნდა დავუმატოთ ამ სურვილებს?

მხნედ იყოს, გაზაფხული ისევ მოდის იორზე.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

ᲬᲘᲜᲐᲠᲛᲔᲡᲐᲛᲔᲝᲒᲚᲝᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ

ᲐᲡᲔᲗᲘ რამ ხშირად არ ხდება. განსაკუთრებით — ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. მაგრამ ფაქტი ფაქტია: ამას წინათ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაბეჭდილი საქართველოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს თ. გამყრელიძისა და სლავთმცოდნეობისა და ბალკანისტიკის ინსტიტუტის პროფესორის ვ. ვ. ივანოვის მონოგრაფია — „ინდოევროპული ენები და ინდოევროპელები. წინარეენისა და წინარეკულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“ — სენსაციად იქცა ლინგვისტურ სამყაროში. მის 1328 გვერდზე მოცემულია ახალი თეორია, რომელიც გადატრიალებას ახდენს არა მარტო კლასიკურ წარმოდგენებში იმ ხალხთა წინარეენის შესახებ, რომლებმაც შემდეგ ევრაზიის უვრცესი ტეიტორია დაასახლეს, არამედ აგრეთვე აქამდე არსებული შეხედულებებშიც მათი ისტორიული სამშობლოს შესახებ და, მაშასადამე, მთელი დასავლური ცივილიზაციის სათავეების შესახებაც.

დღეს ჩვენი კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს მონოგრაფიის ერთ-ერთი ავტორი, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე.

— ბატონო თამაზ, რა მოხდა? რა მონაცემებმა გაიძულეს თქვენ და თქვენი თანაავტორი გადაგეხედათ თვალსაზრისისათვის, რომელიც სულ ცოტა ას ორმოცდაათ წელს ბატონობდა ინდოევროპეისტიკაში? და ბოლოს, სად არის ის ქვეყანა, საიდანაც დასახამი მოგვეცა? მე ხომ ჯერ კიდევ სკოლის კურსდან მახსოვს, რომ ასეთ რეგიონად ყოველთვის ცენტრალური ევროპა ითვლებოდა...

— ჩვენი აზრით, ეს რეგიონი წინა აზიაა უნდა იყოს. უფრო ზუსტად, მცირე აზიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის რაიონები. თუ ჩვენ ეული გაგებთ, ვიხელმძღვანელებთ, ჩვენს ერამდე IV ათასწლეულში სწორედ აქ ცხოვრობდნენ, მიწათმოქმედებას მისდევდნენ და ქმნიდნენ თავიანთ ფრიად მაღალგანვითარებულ კულტურას ადამიანები, რომლებიც ხალხთა უზარმაზარ ინდოევროპულ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ: წინარეიტალიელები, წინარებალტიელები, წინარეგერმანელები, ინდოირანელები, ხეთები, მომავალი სლავები და მრავალნი სხვანი. მაგრამ შეგახსენებთ, მაშინ ასეთი დაყოფა ჯერ არ იყო მომხდარი: ეს იყო მთლიანი გაერთიანება, რომელიც საერთო ენაზე მეტყველებდა.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო მოგვესმინა ეს მეტყველება, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეიტყობდით, თუ რაზე ფიქრობდნენ ინდოევროპელები, როგორი იყო მათი ბუნებრივი გარემო, რა შედიოდა მათი ცხენების სფეროში, ესე იგი როგორ ცხოვრობდნენ და სად ცხოვრობდნენ. ამ კითხვაზე პასუხს გავიკეთებთ, თუ შევადარებდით, შევაჯერებდით იმ მონათესავე ენებს, რომლებიც ინდოევროპულიდან გამომდინარეობენ, თუმცა ძლიერ შეიცვალნენ, მაგრამ საერთო სტრუქტურული ნიშნები მაინც შეინარჩუნეს.

— კი, მაგრამ ეს ხომ დახშული წრეა: როგორც ჩანს, რაკი წინარეენა არ იცით, ვერც დაამტკიცებთ, რომ, ვთქვათ, სლავური და მკვდარი ხეთური ენები შორეული ნათესავები არიან?

— დავამტკიცებთ, რადგან ვხედავთ, რომ მათ შორის მთელი ქსელი არსებობს ისეთი თანაფარდობებისა, როცა ერთი ენის ყოველ ბგერას მეორეში განსაზღვრული ბგერა შეესაბამება. მაშასადამე, ისინი საერთო წინაპრიდან მომდინარეობენ.

— მომიტევეთ ჩემი სიჯიუტე, თქვენ ბგერაზე ლაპარაკობთ... მაგრამ ის ადამიანები, რომლებიც იმავე ხეთურ, ლუვიურ, თოხარულ თუ ფაალაურ ენებზე საუბრობდნენ, დიდი ხანია ლეგამ შთანთქა: მათი საუბარი ამჟამად მცხოვრებ ხალხთაგან არც ერთს და არასოდეს არ მოუსმენია...

— მართალია, არ მოუსმენია. მაგრამ სამეგ ის გახლავთ, რომ ყველა ეს ენა, უკლებლივ ყველა, ექვემდებარება ზოგიერთ უნივერსალურ კანონზომიერებებს, რომლებსაც ამჟამად სწავლობს ლინგვისტიკის ახალი მიმართულება — ენობრივი ტიპოლოგია, ანუ უნივერსალიების ლინგვისტიკა, მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ყველა ენა იმის მიუხედავად, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება, ბგერების რაღაც მინიმუმს უთუოდ შეიცავს. ხმოვნები — თუნდაც ერთი ხმოვანი, ენაში მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი. ავიღოთ თუნდაც „სანი“—ჩვენ მას ყველგან ვხვდებით, იმ ენებშიც კი, რომლებშიც სულ 14-15 ბგერაა, როგორიცაა, მაგალითად, ავსტრალიელი ტომის არანტის ენა. და აი, როცა, ერთი მხრივ, ვიცით ეს უნივერსალიები, ხოლო, მეორე მხრივ, დავადგენთ ბგერათა თანაფარდობას უფრო გვიანდელ ენობრივ დანაშრეებში, ცოცხალი ენების მონაცემების საფუძველზე, ჩვენ აღვადგენთ კიდეც მკვდარ ენების ბგერობრივ დონეზე.

შეიძლება იკითხოთ, ხომ არ ვცდებით თვით რეკონსტრუქციის მეთოდში? როგორც ჩანს, არა. რადგან იგი შეიძლება შემოწმდეს ისტორიულად დადასტურებული ფაქტებით. მაგალითად, როცა ერთმანეთს ადარებენ რომანულ ენებს, რომლებისთვისაც წინარეენას ხალხური ლათინური წარმოადგენს, მკვლევარები ხედავენ, რომ მათ მიერ გამოთვლილი საწყისი წინარეენობრივი ფორმები ემთხვევა იმ ფორმებს, რომლებიც უკვე ცნობილია. ზუსტად ასევე დავეყრდენით მეტ წილ ცნობილ ინდოევროპულ ენებს — ცოცხლებსაც და მკვდრებსაც — და მოვახერხეთ მათი საერთო წინაპრის დაახლოებითი სახის რეკონსტრუირება.

— კი, ბატონო, მაგრამ ისინიც, ვინც წინათ ცდილობდა ინდოევროპული ენების რეკონსტრუირებას ალბათ იმავე მეთოდებსა და იმავე ენებს იყენებდნენ?

— დიახ მაგრამ, თურმე, ისეთი ენა, როგორსაც კლასიკური მოდელი ვარაუდობდა, საერთოდ არარეალურია. თვით წანამძღვრები აღმოჩნდა მცდარი: ისინი ეწინააღმდეგება ენის იმ უნივერსალურ კანონებს, რომლებზეც წეიან მოგახსენეთ. მაგალითად, ტიპოლოგიურმა ლინგვისტიკამ დაამტკიცა: თუ ენა შეიცავს ეგრეთ წოდებულ მეღერ ფშვინვიერ ბგერებს, პარალელურად აუცილებლად უნდა არსებობდეს ყრუ ფშვინვიერებიც. კლასიკური მოდელი კი მათს რეკონსტრუირებას არ მიმართავს. ისევე, როგორც არ მიმართავს მეღერი „ბ“ ბგერის რეკონსტრუირებას. თუმცა ენებში, სადაც გვაქვს მეღერები, შეიძლება გვაკლდეს „გ“, მაგრამ არა „ბ“. ერთი სიტყვით აქამდე არსებული თეორია აღადგენდა ისეთ ბგერიან რიგებს, რომლებიც დადასტურებული არ არის არც ერთ ჩვენთვის ცნობილ ენაში. ჩვენ კი, ჩვენს მოდელზე მუშაობისას, იგი შევუსაბამეთ უნივერსალურ ბგერიან კანონზომიერებებს და ამის შედეგად პრინციპულად სხვაგვარი სურათი მივიღეთ.

— თქვენ, თითქოს, საგანგებოდ აღნიშნავთ, რომ ეს მოდელია?

— რა თქმა უნდა. მერედა, რატომ გაკვირვებთ ეს? ხომ არსებობს ფიზიკური მოდელები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს იგხსნათ ის ფიზიკური სინამდვილე, რომელსაც ვაკვირდებით.

— დიახ, მაგრამ ფიზიკაში ამის შემოწმება ექსპერიმენტით შეიძლება.

— ლინგვისტიკაშიც: მაგალითად, რომელიმე ახალი ენის აღმოჩენისას. ვთქვათ, როცა ხეთური წაიკითხეს, მასში აღმოჩნდა გარკვეული ბგერები, რომლებმაც დაადასტურეს თეორიულად ადრე „გამოთვლილი“ ერთეულები.

— მაშასადამე, დასკვნა ინდოევროპელთა წინარესამშობლოს შესახებაც უაღრესად თეორიული ყოფილა?

მოგეხსენებათ, როცა ათასწლეულებთან გვაქვს საქმე, ყოველგვარი მსჯელობა საეარაუდო ხასიათისაა. მაგრამ ჩვენი — ვიაჩესლავ ივანოვისა და ჩემი აზრით, ის არგუმენტები, რომლებსაც, სხვათა შორის, მონოგრაფიის მთელი მეორე ტომი უკავია, საკმაოდ სარწმუნოა. აქ ჩვენ უკვე ამ გეოგრაფიულ რეგიონზე მიგვითითა იმ ფაქტმაც, რომ ინდოევროპულში აღმოჩნდა ბევრი სიტყვა, რომლებიც ნასესხებია ქართველური და სემიტური წინარეეერებიდან, ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხებიც სწორედ ამ ადგილების შორი-ახლოს სახლობდნენ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგები დაგვეხმარა გაგვეანალიზებინა მეორე თემატიკური ჯგუფის ლექსიკა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა საქმიანობას მისდევდნენ ინდოევროპელები. ისინი აშენებდნენ

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ

ᲐᲛᲘᲒᲐᲓ, XX საუკუნის მიწურულს კიდევ ერთი მეცნიერული სენსაცია შეემატა. ახალი თეორია ფართო დისკუსიის საგანი გახდა არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. მას ჰყავს თავისი მოგზრეები — ისინი უმრავლესობას შეადგენენ. ჰყავს მოწინააღმდეგეც. მაგრამ რაგინდ დიამეტრულად საწინააღმდეგოც უნდა იყოს მოპაექრეთა პოზიციები, სპეციალისტები ამტკიცებენ: ისტორიულ-შედარებითს ენათმეცნიერებაში თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება. „აღძრული საკითხებისა და შემოთავაზებული პასუხების რაოდენობისა და მასშტაბურობის თვალსაზრისით,—წერს მონოგრაფიის წინასიტყვაობაში თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი რომან იაკობსონი,—ახალ გამოკვლევას განსაკუთრებული ადგილი უკავია... არაერთი ნაყოფიერი დისკუსია გაიმართება საერთაშორისო მეცნიერებაში ამ ღირსშესანიშნავი ნაშრომის გამო“. „თუ ამ თეორიას დავეთანხმებით, — ამბობს ამერიკელი ენათმეცნიერი თ. ბოლდი,— საჭირო გახდება ინდოევროპული ენათმეცნიერების მთელი საფუძვლების გადასინჯვა. იმ ფაქტმა, რომ ეს ინდოევროპული ენათმეცნიერების დარგში არსებული ყველა ლექსიკონისა და სახელმძღვანელოს გადამუშავებას მოითხოვს, არ უნდა დააბრკოლოს მისი აღიარება“. „ასეთი არაფერი შექმნილა ლინგვისტიკაში უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე“, — ამტკიცებს დასავლეთგერმანელი ლინგვისტი ო. სემერენი. „მონოგრაფია კულტურის ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა სამაგიდო წიგნი გახდება“, — ეს ყველაზე მნიშვნელოვანი აღიარებაა, რადგანაც იგი ოპონენტებს ეკუთვნის.

მაგრამ ყველაფერს დრო გაარკვევს, ან — წარსულიდან მოწვდილი კიდევ ერთი ხმა.

საუბარი ჩაიწერა ᲔᲒᲔᲜᲘᲐ ᲐᲚᲒᲐᲪᲐᲛᲐ.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.

„იზვესტია“, 1986 წ. 6. 2.

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი გვატყობინებს: „ქართული ჩაი, უმაღლესი ხარისხი“ — ეს სიტყვები ინგლისურ და გერმანულ ენებზე წარწერილია კონტეინერებზე, რომელთა დიდი პარტიების გაგზავნა დაამთავრეს ბალტიის საზღვაო სანაოსნოს დოკერებმა.

ქართველ მეჩაიეთა პროდუქციის გადაზიდვა დაეკვალთ თბომავლების „სესტ-რორეკაცის“ და „პრიმორსკის“ მეზღვაურებს. მათ ძვირფასი ტვირთის ნაწილი უკვე ჩაუტანეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის სავაჭრო ფირმებს.

ამ ცნობას განმარტავს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოება-გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ე. მალაზონია:

— ამ ფირმების წარმომადგენლები მარშან ჩვენს რესპუბლიკაში იყვნენ და ხელშეკრულება დაგვიდეს ჩაის მიწოდებაზე, — თქვა მან, —

მსოფლიოში

ფაქტები • მოვლენები

საკლესიო განცხადება

4 თებერვალს ისრაელმა სახელმწიფო ტერორიზმის ახალი აღმაშფოთებელი აქტი ჩაიდინა. მისმა სამხედრო ავიაციამ საერთაშორისო საჰაერო სივრცეში გზა გადაუჭრა დამასკოში მიმავალ ლიბიის სამოქალაქო თვითმფრინავს და იძულებით დასვა იგი ჩრდილოეთ ისრაელში. თვითმფრინავის მგზავრები დამამცირებლად გაჩხრიკეს.

თელ-ავივის ეს მოქმედება სხვა არა არის. რა, თუ არა საჰაერო მეკობრეობა, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების, შესაბამის სახელმწიფოთაშორისო კონვენციებით დამკვიდრებული საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის თავისუფლებისა და უსაფრთხოების პრინციპების ცინიკური ხელყოფა. სხვათა შორის, ამ კონვენციების მონაწილე ისრაელიც არის.

როგორც ფაქტები ცხადყოფს, აჯაღობა სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ თელ-ავივისთვის ჩვეულ საქმედ იქცა—ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ხან ჩამოაგდეს ლიბიის სამოქალაქო თვითმფრინავი, ხან გაიტაცეს და იძულებით დასვეს ისრაელის ტერიტორიაზე ერბანის ავიაკომპანიის თვითმფრინავი. თუმცა ეს მოქმედება გადაჭრით დაგმეს მთელ მსოფლიოში, ისრაელში აშკარად არ სურთ აქედან ჯეროვანი დასკვნები გამოიტანონ. ბანდიტურ გამოხდომებს რომ სჩადის, ისრაელი „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ფარისევლურ საბაბს იმიზეზებს. მაგრამ ძალადობის ამ მანკიერი წრის ნამდვილი მიზეზი, რომელშიც რამდენიმე ათწლეულია მოქცეულია ახლო აღმოსავლეთი, სწორედ ისრაელის მიერ სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადებული აჯაღობა და ტერორია. ისრაელის მხედრობინაი მორიგ დანაშაულებრივ აქციას შეიძლება მოჰყვეს ვითარების ახალი გამწვავება ამ ისედაც აფეთქებასაშიშ რეგიონში.

დაუსჯელობა და ძალის კულტი, რითაც ყოყოჩობენ ისრაელი მმართველები, აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, იმითი წაყრუებით, ვინც ხელს უწყობს თელ-ავივის თავზედურ ანტიარაბულ გეზს. თვალშისაცემია, რომ მეკობრული აქტი ლიბიის სამოქალაქო თვითმფრინავის წინააღმდეგ განახორციელეს მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაშალა უშიშროების საბჭოს მიერ იმ რეზოლუციების მიღება, რომლებშიც დაგმობილი იყო ისრაელის აგრესიული პოლიტიკა ლიბანის მიმართ და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საბჭოთა კავშირში გადაჭრით გმობენ თელ-ავივის ტერორისტულ აქციას, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო ურთიერთობის ელემენტარულ ნორმებს. მეკობრულ მოქმედებას ბოლო უნდა მოეღოს, დადგა დრო, რომ უშიშროების საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი ისრაელის დანაშაულობათა შესაწყვეტად, რომლებიც უშუალო საფრთხეს უქმნიან მშვიდობას და უშიშროებას ახლო აღმოსავლეთში და მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურაში

ჭეშმარიტება, უწინარეს ყოვლისა

პროფესიული მოვალეობის განუხრელი შესრულებისათვის ნათესაური კავშირი არ შეიძლება დაბრკოლება გახდეს. თბილისის კალინინის რაიონის პროკურორმა გ. ა. სხირტლაძემ ეს მოთხოვნა უგულებელყო. მან ისარგებლა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით და ხელი შეუშალა ჭეშმარიტების დადგენას ნათესავის ვ. ვ. სხირტლაძის მიმართ, რომელიც ოაკავეს იმ ეჭვის გამო, რომ უკანონოდ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს. იუსტიციის მრჩეველი გამოცხადდა ორჯონიკიძის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში, წაიყვანა იქიდან დაკავებული და წაიღო ჩამორთმეული პისტოლეტი. ზემდგომ თანამდებობის პირთა ჩარევის შედეგად გ. ა. სხირტლაძემ წარმოადგინა არა ნამდვილი, არამედ სათამაშო რეოლვერი.

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ მიიჩნია, რომ გ. ა. სხირტლაძემ დაარღვია სამსახურებრივი მოვალეობა და პროფესიული ეთიკა. გამოიჩინა პროტექციონიზმი. თავისი საქციელით მან გამოიწვია მითქმა-მოთქმა, რომელიც არყევს სამართალდაცვითი ორგანოების ავტორიტეტს.

გ. ა. სხირტლაძე გაათავისუფლეს თბილისის კალინინის რაიონის პროკურორის თანამდებობიდან.

* * *

ორჯონიკიძის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში არსებული ფაქტის გამო იმსჯელეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოშიც. ვ. ვ. სხირტლაძის დაკავება და მისთვის რეოლვერის ჩამორთმევა არ იყო პროცესუალურად გაფორმებული. ამისათვის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი ხ. ს. ხუნჯუა და პასუხისმგებელი მორიგე ა. ი. დევსურაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. დაისაჯა ორჯონიკიძის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი დ. ჯანაშიაც. (საქინფორმი).

საქართველოს ხმა

უშიშროების საბჭოში

ვინ აქეზებს აგრესორს?

შეერთებულმა შტატებმა მესამედ ჩაშალა რეზოლუციის მიღება

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ — წლის დამდეგიდან მესამედ ჩაშალა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ საბოლოოდ აღვირახსნილი ისრაელი აგრესორების დამგმობი რეზოლუციის მიღება.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც ერთადერთმა მიაცა ხმა წინააღმდეგ, ვეტო დაადო მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფის რეზოლუციის პროექტს, რომელშიც დაგმობილია სახელმწიფო ტერორიზმის ახალი აღმაშფოთებელი აქტი — ისრაელის საჰაერო მეკობრეობა ლიბიის სამოქალაქო თვითმფრინავის წინააღმდეგ. პროექტში, რომელსაც უმრავლესობამ დაუჭირა მხარი (თავი შეიკავეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, დანიამ და ავსტრალიამ), ისრაელის აქცია შეფასებული იყო როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპების, სამოქალაქო ავიაციის თაობაზე საერთაშორისო კონვენციების სერიოზული დარღვევა, რაც საფრთხეს უქმნის უშიშროებასა და სტაბილურობას რეგიონში.

ამერიკის აქციამ საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლთა გულისწყრომა გამოიწვია, რომელსაც იგი მიიჩნიათ ისრაელის აჭარა წაქეზებად, განაგრძოს და გააფართოოს თვითნებური თარეში საერთაშორისო სამართლის ყოველგვარი ნორმების საწინააღმდეგოდ.

ვაშინგტონის საძრახისი თანამონაწილეობა

ამას თვითონ აღიარებენ

სან-ფრანცისკო. შეერთებული შტატები სიტყვით გმობს ტერორიზმს, საქმით კი თავად ახორციელებს სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა აგენტმა დევიდ მაკმაიკლმა. კალიფორნიის უნივერსიტეტში გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ცდილობს იარაღის ძალით თავს მოახვიოს დიქტატი სუვერენულ ქვეყნებს, რომლებიც დამოუკიდებელ კურსს ადგანან. კერძოდ, ცენტრალურ ამერიკაში ვაშინგტონმა ძალისმიერი ზეგავლენისა და შეიარაღებული პროვოკაციების მთავარ ობიექტად რევოლუციური ნიკარაგუა აირჩია.

შეერთებული შტატები, თქვა მაკმაიკლმა, კონტრრევოლუციონერთა ბანდების სისხლიან დანაშაულობათა უშუალო თანამონაწილეა და მათთან ერთად ეკისრება პასუხისმგებლობა დაახლოებით 10 ათასი მშვიდობიანი მცხოვრების დაღუპვისა და უზარმაზარი მატერიალური ზარალისათვის, რომელიც ნიკარაგუას მიაყენა კონტრრევოლუციონერი ნაძირალების დანაშაულებრივმა აქციებმა. ორატორმა აღნიშნა, რომ მისი დასკვნები ემყარება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დოკუმენტებს, რომლებზეც მას ხელი მიუწვდებოდა 1981-1983 წლების პერიოდში.

ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, თქვა შემდეგ მაკმაიკლმა, ღვარძლიან კამპანიას ეწევიან სანდინისტური მთავრობის წინააღმდეგ. ვაშინგტონში ყალბად ამტკიცებენ, თითქოს ნიკარაგუა „საფრთხეს უქმნიდეს შეერთებული შტატების უშიშროებას“.

● ჰაიტი

მწვავე ვითარება

ჰავანა. ჰაიტიდან მიღებული ცნობებით, კარიბის ზღვის ამ კუნძულოვან სახელმწიფოში კვლავ დაძაბული ვითარებაა. პოლიტიკურ წრეებში ცხარე კონსულტაციები იმართება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეავა სამხედრო-სამოქალაქო მთავრობაში, რომელიც ხელში აიღებს ძალაუფლებას დიქტატორ დიუვალიეს ქვეყნიდან გაქცევის შემთხვევაში.

● ფილიპინები

არჩევნები დაიწყო

მანილა. ფილიპინებზე დაიწყო პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ უხეში ზემოქმედების ვითარებაში მიმდინარეობს. ფილიპინების დედაქალაქის არსებული მონაცემებით, დედაქალაქის აეროპორტში გამზადებულია თვითმფრინავი „სამუდამო პრეზიდენტის“ პირადი „ბოინგი“. მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა დასავლთევროპულმა ქვეყანამ ჰაიტელი ხალხის ჯალათს პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი უთხრა, პორტ-ო-პრენსის დიპლომატიურ წრეებში გავრცელდა ცნობები, რომ იგი აპირებს იმპიკაში გაქცევას.

● აშშ

პრეზიდენტის განცხადება

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა რეიგანმა განაცხადა, რომ მისი ადმინისტრაცია ხელს არ აიღებს „ავრსკვლავეთის ომების“ პროგრამაზე. ვაშინგტონში გამოსვლისას პრეზიდენტმა თქვა, „მეამაყება, რომ ამერიკის საუკეთესო მეცნიერები“ ამ პროგრამით არიან დასაქმებულნი. იგი ამტკიცებდა, თითქოს კოსმოსური შეიარაღების სისტემის შემუშავება „დაეხმარება კაცობრიობას“ ბოლო მოუღოს ბირთვულ საფრთხეს. მაგრამ მრავალრიცხოვან გაკვლნიან ექსპერტთა აზრით, ამ პროგრამის განხორციელება, რომელსაც ვაშინგტონი 1987 საფინანსო წელს თოთქმის ორჯერ მეტ თანხებს მოახმარს, წლევანდელთან შედარებით, არამცთუ შეამცირებს, პირიქით, კიდევ უფრო გაზრდის გლობალური კატასტროფის საფრთხეს.

● საბერძნეთ-აშშ

ნიაღაგის მოსასინჯად

ათენი. აქ ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რ. ოჯუეი. მისი მოგზაურობის ოფიციალურად გამოცხადებული მიზანია მარტის ბოლოსათვის დაგეგმილი ათენში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის ვიზიტის მომზადება.

არსებითად, წერენ ბერძნული გაზეთები, საქმე ეხება ვაშინგტონის გაფუდმებულ ზეგავლენას ათენზე, რათა გადასინჯონ საბერძნეთ-ამერიკის შეთანხმება „ეკონომიკისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“, რომელსაც 1983 წელს მოაწერეს ხელი ხუთი წლის ვადით. როგორც საბერძნეთის მთავრობას არაერთგზის განუცხადებია, შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ უმოკლეს ვადაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზებს გაიყვანენ ქვეყნის ტერიტორიიდან.

„მთავრობის პოზიცია სამხედრო ბაზების საკითხში უცვლელია. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ქვეყანა გავათავისუფლოთ უცხოეთის ბაზებისაგან“, — განაცხადა საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა ა. კურტესმა.

მოკლედ

◆ **ლონდონი.** ინგლისი აპირებს შექმნას ახალი ტიპის საფრენი აპარატი — კოსმოპლანი, რომელსაც შეეძლება ჰორიზონტალურად აფრენა და დაჯდომა. უახლოეს ორ წელიწადში გათვალისწინებულია კოსმოპლანის კონსტრუქციის დეტალური შემუშავება. სამუშაოთა ღირებულება 8 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

◆ **ვენა.** წინაალმდეგობის მებრძოლთა საერთაშორისო ფედერაციამ მხარი დაუჭირა ყოფილ ომის მონაწილეთა მსოფლიო შეხვედრის მოწყობას, რომელიც გაიმართება ამა წლის 1-8 დეკემბერს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში.

თოვლი და ქინაა საქართველოში

6 თებერვლის დილისათვის თოვლით დაიფარა საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია.

— განსაკუთრებით დიდი თოვლი მოვიდა მთის რაიონებში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა ფურმან არდიამ, — მაგალითად, აჭარაში, ხულოს რაიონში უკვე 80 სანტიმეტრი თოვლი დადო, ლენტეხში — 105, ჯვრის უღელტეხილზე — 200 სანტიმეტრზე მეტი, რიკოთის უღელტეხილზე — 78, თელავში — 44 სანტიმეტრი.

ამ ზამთარს ბუნებამ შედარებით სქელი საბურავით დაფარა მდინარეების აჭარისწყლის, მტკვრის, რიონის აუზები.

მთებში მოსულმა დიდმა თოვლმა შეიძლება გამოიწვიოს ზვავები, ხოლო ზოგიერთი მდინარის კალაპოტის გაყოლებით თოვლის დნობის პერიოდში — მეწყერი. ჰიდროლოგების აზრით, განსაკუთრებით საშიშია ბუნების ეს მოვლენები ლენტეხის რაიონში, მდინარე ლასკადურის ნაპირებზე.

საკმაოდ დადო თოვლი არაგვისა და ივრის აუზებშიც — ქინვალის ჰიდროკვანძისა და სიონის წყალსაცავის წყლის არტერიებში. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის წყალმომარაგებისათვის, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში დიდი ფართობების რწყვისათვის. გაჩნდა იმედი, რომ წელს შეივსება დაშრტილი წყლის შარაგი თბილისის წყალსაცავში.

დასავლეთ საქართველოში თოვლს ყინვა მოჰყვა სუბტროპიკულ ზონაში. მაგალითად, 4 თებერვალს ღამით გალის რაიონში ჰაერის ტემპერატურა დაეცა მინუს 9 გრადუსამდე, გაგრასა და ზუგდიდში კი 8 გრადუსამდე. მინუს 7 გრადუსამდე დაეცა თერმომეტრის სვეტი სამტრედიაში. მოსალოდნელი სიცივეების გამო მეციტრუსეები დროულად გააფრთხილეს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მუშაკებმა.

მაგრამ სამხრეთი მაინც სამხრეთია. 6 თებერვლის დილისათვის ბათუმში გაწვიმდა, სოხუმში ჰაერის ტემპერატურა აიწია ერთ გრადუს სითბომდე, სამტრედიასა და ქუთაისში კი 3 გრადუსამდე.

ზამთარი სუბტროპიკებში

თოვლის გამო დასავლეთ საქართველოს მეურნეობებში საქძის მდგომარეობაზე საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრებიან რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების სამეფუთნეო ხელმძღვანელები, სპეციალისტები.

მ. სურმანა, გეგეჭკორის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარი აგრონომი:

— დაბლობში 20 სანტიმეტრი თოვლი დადო, მთებში კი — 40-მდე სანტიმეტრი. როგორც ყოველთვის, ასეთი შემთხვევებში, ძეიქმნა ოპერატიული ტტაბი. მოვიმარაგეთ საჭირო საწვავი მასალები, მოვამზადეთ ჩამოწერილი ავტოსატრანსპორტო საკვამლე კოუჭები, ერთი სიტყვითი, ყინვებისათვის მზად ვართ.

ჩაის პლანტაციებს რაიონში 3400 ჰექტარი უკავია, აქედან 3140 ჰექტარი მოსავლიანია. შეეტახეთ მინერალური სასუქები საძი ათას ჰექტარ ფართობზე, დავბარეთ მწკრივთშორისები 1800 ჰექტარზე.

ვ. სალუქვაძე, მახარაძის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე:

— დროულად მოვემზადეთ მოსალოდნელი ყინვებისათვის. შემოვიტანეთ სამი ათასი ძველი ავტოსატრანსპორტო, საკვამლე კოუჭები. ყოველ მეურნეობაში თავმოყრილია პირუტყვისათვის საკვებად გამოუსადეგარი 5-7 ტონა თივა. აგროსამრეწველო გაერთიანებასთან შექმნილ ოპერატიულ შტაბს კავშირი აქვს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობასთან. ადგილებზე დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობა.

ა. მიქავა, ხობის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე:

— თოვის გამო შეწყდა სამუშაოები მინდვრებსა და პლანტაციებში, მაგრამ რაიონში დროულად შევიტანეთ ნიადაგში სასუქები, მარტო ტორფი შევიტანეთ თორმეტი ათასი ტონა. მიწა მივაყარეთ ციტრუსების ნარგავებს 350 ჰექტარზე, რომელთაგან 220 ახალ ნარგავებს უკავია. შეეფუთეთ ისინი სპეციალური დამცავი ქსოვილით „ციტრუსით“. ასე რომ, ყინვა საშიში აღარ არის.

რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებასთან შექმნილმა შტაბმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

კიდევ 2 ოქროს მედალი

შ. ხაბარელი და ჯ. ბერიძეშვილი გამარჯვებულთა სგანცხადებაზე

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარე მეჩიდოტეტი ერთაშორისო შეჯიბრების მეორე დღეს ისასპარეზეს 86 და 78 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ძიუდოისტებმა. სასიამოვნო და ნიშანდობლივი ფაქტია, რომ გუშინწინდელივით საქართველოს ათლეტებმა გუშინაც გაიკაფეს გზა ფინალისკენ...

თუმცა მივყვეთ რიგით. 86 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა ხუთი სპორტსმენი — დავით ვარძელაშვილი, ბორის ფირცხელანი, ანზორ თენაძე, მამუკა წინამძღვრიშვილი და ჯემალ მჭედლიშვილი. ამათგან პირველი პირველსავე წრეში დამარცხდა (შ. დადახანოვთან). ფირცხელანმა, თენაძემ და წინამძღვრიშვილმა პირველი შეხვედრები მოიგეს (შესაბამისად კორეელი კენ დოკთან, ფინელ ი. ლაიტინენთან და ლ. გუბსკისთან), მეორე წრეში კი დათმეს პოზიციები (შესაბამისად ჰოლანდიელ ბ. სპაიკერსთან, ვ. სუკაჩთან და ბდრ-ის წარმომადგენელ რ. ბორავსკისთან). რაც შეეხება ჯემალ მჭედლიშვილს, მან ოთხი ოთბაბრძოლა მოიგო ზედიზედ და ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობის საგზურს დაეუფლა. აღსანიშნავია ისიც, რომ მან 4 შეხვედრიდან სამი წმინდად და ერთიც ქულებით მოიგო: ა. ბალანინისთან (4 წუთსა და 55 წამში), კ. მურთუზოვთან (4 წუთსა და 20 წამში), ბორავსკისთან (ქულებით) და ბოლოს, ვ. ვოინოვთან შეხვედრის დაწყებიდან 25-ე წამზე ელვისებური გდებით წმინდა გამარჯვება იზეიმა. ამ წონითს კატეგორიაში გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მჭედლიშვილის მეტოქე იყო ჰოლანდიელი სპაიკერსი, რომელმაც ფინალამდე დაამარცხა ვ. ქდანოვი, ფირცხელანი, უნგრელი ი. გიანი და ტ. აბდულაევი.

გუშინდელი დილის პროგრამის შეხვედრები 78 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ი ჩვენი რესპუბლიკის შვიდმა წარმომადგენელმა ასეთი შედეგებით დაამთავრა: მიხეილ ვეშაგური, ბავით ხუბულური და თამაზ ვარდანაშვილი პირველივე წრეში დამარცხდნენ (შესაბამისად ი. მერკულოვთან, ვ. გიშტემულტეკსთან და ა. ხახუკთან). პირველი წრის შეხვედრები მოიგეს თამაზ ნამგალაურმა — იაპონელ ხიროიუკი ჰიიაკოსიკთან, გოდერძი ბერბერაშვილმა — უნგრელ დენეშ ფოგარაშთან. მეორე წრეში ტრავმის გამო ვერ იასპარეზა ნამგალაურმა და ბრძოლას გამოეთიშა, ბერბერაშვილი კი დამარცხდა ი. მერკულოვთან. შოთა ხაბარელი და ენგურ გოგიჩაშვილი ერთმანეთს ხახვარფინალში შეხვდნენ. ეს ორთაბრძოლა ხაბარელმა 3 წუთსა და 44 წამში წმინდად მოიგო. მანამდე კი ხაბარელმა მოხლოლი ჟ. განდბოლდი დაამარცხა (3 წუთსა და 28 წამში წმინდად), გიშტემულტეკ (ასევე წმინდად 3 წუთსა და 36 წამში) და ა. ბახუკი (მნიშვნელოვანი უპირატესობით). რაც შეეხება გოგიჩაშვილს, მან ხაბარელთან შეხვედრამდე წმინდად მოუგო ორთაბრძოლები რუმინელ დან რადს (2 წუთსა და 6 წამში) და ა. კლოიანს (3 წუთსა და 53 წამში), ჰ. იასენოვსკასთან კი მნიშვნელოვანი უპირატესობით იმარჯვა. გადამწყვეტ — ფინალურ ორთაბრძოლაში ხაბარელთან მეტოქეობის უფლება მოიპოვა ბ. ვარაევმა, რომელმაც ფინალამდე ოთხი შეხვედრა მოიგო: ბულგარელ ვ. სოკოლოვთან (42 წამში), ჰოლანდიელ მ. შონვეველესთან (4 წუთსა და 9 წამში), რ. იბრაგიმოვთან (2 წუთსა და 38 წამში) და ბოლოს, ი. მერკულოვთან ქულათა უპირატესობით.

აი, ასე წარიმართა გუშინ დილით ვამართული ორთაბრძოლების ერთი ნაწილი. საღამოთი კი აღნიშნულ წონითს კატეგორიებში ფინალური და აგრეთვე მესამე საპრიზო ადგილებისათვის გამართულ სანუგეშო ტურნირებში მონაწილეთა ძეხვედრები მოეწყო. 78 კგ-მდე წონაში შ. ხაბარელმა ფინალში სძლია ბ. ვარაევს და ოქროს მედალს დაეუფლა. მესამე საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ ე. გოგიჩაშვილი და ი. მერკულოვი. გოგიჩაშვილმა საპრიზო ადგილისთვის გადამწყვეტი ორთაბრძოლა 1 წუთსა და 44 წამში წმინდად მოუგო რ. იბრაგიმოვს. 86 კგ-მდე წონაში უძლიერესის წოდება მოიპოვა ჯ. მჭედლიშვილმა, რომელმაც ფინალში წარმატების იმედი გადაუწურა ჰოლანდიელ ბ. სპაიკერსს. მესამე ადგილი წილად ხვდა ვ. ვოინოვს. მეორე ბრინჯაოს მედალი არ გათამაშდა, ვინაიდან პასიურობისთვის ორივე მეტოქეს დამარცხება მიეკუთვნა. მაშასადამე, ორ დღეში 4 ოქროს მედალი გათამაშდა და ოთხივე ქართველი ძიუდოისტების ნადავლი გახდა.

მკითხველებს ვამცნობთ იმასაც, თუ როგორ წარიმართა გუშინწინ გამართული შეხვედრების დასკვნითი ნაწილი. 95 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ძიუდოისტთა შეჯიბრების ფინალში კობა კურტანიძემ მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, ჰოლანდიელი ვან დე ვალე დაამარცხა მნიშვნელოვანი უპირატესობით. ასევე კარგად იასპარეზა მესამე ადგილზე გამოსულმა დავით დავითაშვილმა, რომელმაც სანუგეშო ტურნირში გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოუგო დ. სოლოვოვს. მძიმე წონაში მალაზ ბერუაშვილმაც არ დაუდო ტოლი ძლიერ მეტოქეს გ. ვერიჩევს და მასთან გადამწყვეტი ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო.

თბილისის ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების პირველი ნახევარი მოთავდა და, უკვე შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტები გულდაგული, დიდი სიბეჯითით მომზადებულან ამ სპარტიადა ასპარეზობაში წარმატებით მონაწილეობისათვის. ეს ეხება მაკაც, ვინც განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა და იმათაც, ვინც ჯერ კიდევ ვერ გაიკვალა გზა საპრიზო ადგილებისაკენ, მაგრამ ტურნირის მსვლელობის დროს არცთუ ურიგო ბრძოლა გამოიჩინეს.

ჯ. ენუქიძე.



სურათებზე: მ. ბერუაშვილისა და გ. ვერიჩევის (ზემოთ) და კ. კურტანიძისა და ვან დე ვალეს ფინალური შეხვედრები.

ვ. ბენბიურის ფოტო.

ᲡᲐᲛᲬᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲘᲢᲐ

ᲒᲐᲓᲐᲠᲯᲘ. შვეიცის ქალაქ მალმეში გრძელდება ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრება. სამი ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ე. ახმილოვსკაიამ ნ. ალექსანდრიასთან გადადებული პარტია წააგო, ხოლო ი. ლევენტინასთან და ჰ. კრამლინგთან (ფვეცია) შეხვედრები მოგებით დასრულა. ლევენტინა დაუზავდა ლ. სემენოვას, ა. ბრუსტმანი (პოლონეთი) — უ მინციანს (ჩინეთი) და კრამლინგს. სამი ტურის შემდეგ 3 ქულა ჰქონდა მ. ლეტნისკაიას, ახმილოვსკაიას — 2, ლევენტინას, სემენოვას და უ მინციანს — 1,5-1,5, ალექსანდრიას და ბრუსტმანს — თითო ქულა, კრამლინგს — 0,5.

კალათბურთი. კაუნასში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. გთავაზობთ პირველი დღის შედეგებს: მოსკოვის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 113:104, ლენინგრადის „სპარტაკი“-კიევის „სტროიტელი“ — 78:69, კაუნასის „ყალგირისი“-რიგის ვეფი — 114:90, ცსკა-ვილნიუსის „სტატბა“ — 82:80.

ვოლოსპორტი. მოსკოვში დაწყებული ზამორის ჩემპიონატზე კლაპედელმა გ. უმარასმა 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი — 4.34,103. 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებას დაეუფლა კუბიბშეველი ა. სოროკინი — 1. 05,690.

რედაქტორი

ბ. ბედინეიშვილი.

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„ჩელენჯერის“ კატასტროფის გამო

ნიუ-იორკი. მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „ჩელენჯერის“ ეკიპაჟის წევრებს ეჭვიც კი არ დაბადებიათ მოსალოდნელი საფრთხის გამო, ვინაიდან ხომალდის სახელსაწყო პანელზე არავითარი გამფრთხილებელი სიგნალი არ ყოფილა. ეს განაცხადა ლინდონ ჯონსონის სახლობის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში გამოსვლისას აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს წარმომადგენელმა ჯ. ლოურენსმა. მაგრამ სიგნალი კიდევაც რომ ყოფილიყო და დროულად შეეტყოთ სასტარტო სისტემის მუშაობაში ხარვეზები, თქვა მან, გადარჩენის შანსი მაინც არ ჭქონდათ. როგორც იუსაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგანგებო აღნიშნავს, ეს განცხადება ეწინააღმდეგება აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს მტკიცებებს, თითქოს „ჩელენჯერის“ პილოტებს დროზე რომ შეეტყოთ საშიშროება, ხომალდს მოაცილებდნენ სასტარტო სისტემას და დაუშვებდნენ მას ოკეანის ზედაპირზე ან კანავერალის კონცხის კოსმოდრომის დასაჯდომ ზოლზე. ლოურენსის თქმით, „ჩელენჯერის“ კომპიუტერები არ იძლეოდნენ ამის საშუალებას, ვინაიდან შესაბამისად არ იყვნენ დაპროგრამებული.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გადმოსცა, რომ ოკეანის ფსკერიდან ამოიღეს საეციალური მუხტი, რომელიც სათბობის ავზის ლიკვიდაციისთვის იყო განკუთვნილი. ამრიგად, ახლა ისიც გამორიცხა კატასტროფის შესაძლო მიზეზებიდან.

სპეციალისტების ინტერესი მიიპყრო გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობამ, რომ „ჩელენჯერის“ სასტარტო წონა აღემატებოდა ამ ტიპის ყველა გაშვებულ ხომალდს, თუმცა ამავე დროს მისი საკუთარი წონა ყველაზე ნაკლები იყო“. კორპორაციების „მარტინ-მარიეტისა“ და „როკველ ინტერნეშნლის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ეკოსმოსის მიაღწიეს კიდული სათბობი ავზისა და ორი მყარსათბობიანი ამჩქარებლის კიდლების სისქის შემცირების გზით.

ეი-ბი-სი ტელეკომპანიამ გამოაცხადა, რომ დაიწყო „ჩელენჯერის“ კატასტროფის გარემოებათა გამოძიებელი სპეციალური საპრეზიდენტო კომისიის მუშაობა, ამასთან აღნიშნა, რომ „ჯერჯერობით მის წევრებს წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, თუ რით უნდა დაიწყონ“. ამავე დროს, აღნიშნავს იგი, აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ხელძღვანელებმა დაიწყეს პროპაგანდისტული კამპანია იმ კოსმოსური ხომალდის მშენებლობისათვის დამტკიცებითი სახსრების მიღების მიზნით, რომელიც შეცვლის „ჩელენჯერს“ და დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი დაჯდება.

„ჩელენჯერის“ აფეთქება თეთრი სახლისათვის საგანგაშო სიგნალი უნდა გახდეს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაზე პრეზიდენტ რეიგანის იმედთან დაკავშირებით“, — წერს სარედაქციო სტატიაში გზეთი „ფილადელფია ინკუაირერი“. კანავერალის კონცხის კოსმოდრომზე მომხდარი ტრაგედია „სერიოზული გაკვეთილია იმ თვალსაზრისით, რომ არ უნდა გვედგოს, თითქოს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები არ ცდებიან“, — წერს გაზეთი.

ᲗᲝᲕᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

6 თებერვლის დილისათვის თოვლით დაიფარა საქართველოს თითქმის მთელი ტერიტორია.

— განსაკუთრებით დიდი თოვლი მოვიდა მთის რაიონებში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსმა ფურმან არდიამ, — მაგალითად, აჭარაში, ხულოს რაიონში უკვე 80 სანტიმეტრი თოვლი დადო, ლენტეხში — 105, ჯვრის უღელტეხილზე — 200 სანტიმეტრზე მეტი, რიკოთის უღელტეხილზე — 78, თელავში — 44 სანტიმეტრი.

ამ ზამთარს ბუნებამ შედარებით სქელი საბურავით დაფარა მდინარეების აჭარისწყლის, მტკვრის, რიონის აუზები.

მთებში მოსულმა დიდმა თოვლმა შეიძლება გამოიწვიოს ზ